


619  
1970

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**საბუნა**  
№ 5 მაისი 1970



1970

1945

საქართველო  
საბჭოთავო



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**საბჭო**

№ 5 (402) მ ა ი ს ი. 1970 წ.

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალურ-სამშენებლო ჟურნალი

01.1.1970



# დაუპირისპირი სხვა კანონი

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ. ადრეული გა-  
ზაფხულის ერთ მზიან დღეს, როცა საბჭოთა ქა-  
რები ბერლინს უტყვევდნენ, ტანკებითა და ალაღებით  
გაქედნილი შარაგზის პირას, პატარა სახლში ჭარის-  
კაცი შევიდა წყლის დასალევად.

ოჯახის წევრები რადიომიმღებს შემოსხდამოდ-  
ნენ. ხმაურზე მოიხედეს და ყველა ჭარისკაცს მია-  
ჩერდა. ფართოთვალეზიანმა პატარა გოგონამ მას  
ხის ჭურჭელი მიაწოდა და ჭარისკაცი დიდხანს  
სვამდა წყალს.

წყურვლილი რომ მოკლა, ჩაფიქრებულმა ყური  
დაუგდო რადიომიმღებს, საიდანაც მეორე მსოფ-  
ლიო ომის ბოლო ბრძოლების შესახებ მრავალ ენა-  
ზე ლაპარაკობდნენ ევროპისა და ამერიკის რადი-  
ოსადგურების დიქტორები.

ჭარისკაცი უსმენდა, მასპინძლები კი შიშითა და  
ჩუმი იმედით შეტყუარებდნენ მის ახალგაზრდულ,  
მზით დამწვარ სახეს, მის ნაადრევად შექალაქე-  
ბულ საფეთქლებს.

მოსუცმა მასპინძელმა, ალბათ, უცხო სტუმრის  
პატივსაცემად, მოსკოვი ჩართო. დიქტორის ნაცნო-  
ბი, მშვიდი ხმა საგაზაფხულო თესვასე ლაპარა-  
კობდა.

ეს იყო ძლიერამოსილი სამშობლოს ხმა, მშვიდო-  
ბიანი ცხოვრების ხმა, და მებრძოლის სათნო, ნა-  
თელმა დიმილმა, სიმკაცრის იერი რომ დაუკარგა  
მის სახეს, ერთბაშად დაარწმუნა ეს ადამიანები,  
რომ მათ წინაშე დგას უძლიერესი, მაგრამ ამასთან  
უჩვეულოდ კეთილშობილი ადამიანი.

ამან გააბედვინა მოსუცს ეკითხა, რას ამბობს  
მოსკოვიო, და მის განცვიფრებას საზღვარი არ  
ქონდა, როცა გაიგო, რომ ასეთ დღეებში მოსკოვი  
ლაპარაკობდა თესვასე.

— ჩემი ხალხი დიდხანს ელოდა ამ გამარჯვებას,—  
თქვა ჭარისკაცმა, — ჩვენ ვიცოდით, რომ დადგე-  
ბოდა ეს დღე და დიდი მსხვერპლიც გავიღეთ მის-  
თვის. მაგრამ ჩვენ ვამაყობთ, რომ დაგამარცხეთ  
მტერი და მშვიდობა მოვუტანეთ ხალხებს.

მან აღერხიანად გადაუსვა თავზე ხელი გვერდით  
მდგომ გოგონას და წავიდა, წავიდა იქ, სადაც მისი  
ამხანაგები უკანასკნელ ბრძოლებში ბოლოს უღებ-  
დნენ ფაშისტ ურჩხულს.

და როცა რაინსტაგის თავზე აფრიალდა დიდებით  
მოსილი საბჭოთა დროშა, უველასათვის აშკარა  
გახდა იმ ძალის სწორუბოვრობა, რომელმაც მიიყ-  
ვანა საბჭოთა ადამიანი მათის ამ ნათელ დღემდე,  
როცა ირგვლივ ყველაფერი ჰყვავის და როცა გან-  
საკუთრებული ძალით გრძნობ სიცოცხლის მთელ  
მშვენიერებას.

ასე დადგა დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე.  
თითქმის ოთხი წელი ველოდით ამ დღეს. და-

თოვლილ სანგრებში, ცეცხლითა და კვამლით გა-  
რუჯულ ნანგრევებთან, მოზუზუნე ჩარხებთან, პარ-  
ტიზანულ საფრებში ადამიანები მხურვალედ ოცნე-  
ბობდნენ ამ დღეზე და სწამდათ მისი გარდუვა-  
ლობა.

ჭიუტად, მოთმინებით ელოდნენ ამ დღეს ისინი,  
ვინც საკუთარ მხრებზე გადაატანა ომის მთელი სა-  
შინელება.

ყველას გვახსოვს ეს ამაღლებული დღე.  
გვახსოვს ის წუთები, ჩვენი მამაცი ჭარისკაცები  
წითელ მოედანზე, მავზოლეუმის ტრიბუნის წინ  
რომ ყრიდნენ პიტლერის განადგურებული არმი-  
ების ღრუშებსა და შტანდარტებს. სამშობლო ქვე-  
მება სალუტით მიესალმებოდა დიდების შარავან-  
დელით გარემოსილ საბჭოთა მეომრებს.

მრავალი საუკეთესო ადამიანის სიცოცხლის ფა-  
ხად დაგვიჭდა ეს გამარჯვება. ისინი დაეცნენ იმი-  
სათვის, რომ მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება  
დასკვიდრებულყოფი დედამიწაზე.

ჩვენს ადამიანებს არასოდეს დაავიწყდებათ გა-  
მარჯვების ეს სიხარული. ოცდახუთი წელია ყოველ  
ცხრა მაისს ვხვდებით ისევე, როგორც გამარჯვების  
იმ პირველ დღესასწაულს, ალვისილი ბედნიერე-  
ბით, სიამაყით და სიხარულით, ალვისილი დაუვიწყ-  
არი მოგონებებით წარსული ცხარე ბრძოლებისა  
და საბჭოთა იარაღის დიდების შესახებ.

მსოფლიო განაცვიფრა და აღაფრთოვანა ოდე-  
სის, სევასტოპოლის, მოსკოვის, ლენინგრადის, კავ-  
კასიის გმირულმა დაცვამ. ხოლო მეოცე საუკუნის  
ლეგენდად იქცა სტალინგრადის ზღაპრული სიმტ-  
კიცე, სადაც ჩვენმა ჭარებმა ალყაში მოაქციეს პიტ-  
ლერის ოცდაცამეტი რჩეული დივიზია.

მერე კი დაიწყო ისტორიაში არნახული შეტევა—  
საბჭოთა არმიის შეუნელებელი და ძლიერამოსილი  
წინსვლა.

პიტლერი და მისი ავანჩავანები ვარაუდობდნენ  
საბჭოთა კავშირისთვის ერთი დარტყმით მოედოთ  
ბოლო, ისევე, როგორც ბოლო მოუღეს საფრან-  
გეთს, იუგოსლავიას, საბერძნეთს. „ათასწლიანი  
რაიხის“ ფიურერები ამტიციებდნენ, რომ საბჭოთა  
კავშირი „თიხის ფეხებზე“ შედგარი გოლიათი იყო“,  
რომელსაც ერთი დარტყმით დასციმდნენ ძირს.  
ამის საპასუხოდ კი მათ მიიღეს ჭეშმარიტად საყო-  
ველთაო სახალხო ომი, რომელმაც განადგურებამ-  
დე მიიყვანა ნაცისტური გერმანია და მისი სატე-  
ლიტები.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი დღე-ღამეს ას-  
წორებდა იმისათვის, რომ ჩვენს არმიას არ მომ-  
კლებოდა სურსათი, საჭურველი, ტანსაცმელი, მე-  
დიკამენტები.

სახალხო შურისმგებელთა მრავალრიცხოვანი  
რაზმები, რომლებსაც ვიებერთელა ტერიტორიები  
ეპირათ მტრის ზურგში, მუსრს ავლებდნენ დამპ-  
ყრობლებს.

ჩვენი ქვეყნის თხუთმეტივე რესპუბლიკამ თავი-  
ნი საუკეთესო შვილები გაგზავნა ფრონტზე. მათ  
შორის იყო 678 ათასი ვაჟკაცი საქართველოდან.  
ქართველმა მეომრებმა კვლავ ასახელეს სამშობლო,  
გამარჯვებული და დიდებით მოსილი დაუბრუნდნენ  
მას, ხოლო ისინი, ვინც თავი დასდო ამ დიდ ომში,  
განისვენებენ ჩვენს ვრცელ ქვეყანასა და ჩვენს მი-

ერ განთავისუფლებულ ქვეყნებში გაფანტულ სამ-  
მო საფლავებში, რომლებიც დღეს გადაქცეული  
არაიან გმირობის, სამართლიანობისათვის ბრძოლის,  
მამულიშვილობისა და მეგობრობის სიმბოლოდ.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ დიდი საბჭოთა  
კავშირის ხალხები, როგორც ერთი კაცი, აღსდგნენ  
თავიანთი, ისტორიაში პირველი სოციალისტური  
სამშობლოს დასაცავად.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ინტერნაციონა-  
ლური გრძნობით განმსჭვალულნი ვიბრძოდით მი-  
ხაკისფერი ჭირისაგან ევროპის სხვა ხალხების, მათ  
შორის გერმანელი ხალხის განთავისუფლებისთვი-  
საც.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ორი სამყაროს  
ამ გრანდიოზულ შეჭახებაში წინ გვიძღოდნენ ძლი-  
ერამოსილი კომუნისტური პარტია და დიდი ლენინ-  
ის სახელოვანი დროშა.

ეს გამარჯვება ხელს არ აძლევდა და არ აძლევს  
ზოგიერთ უცხოელ პოლიტიკოსს და მის ჩრდილს  
ამოფარებულ დოლარით მოსყიდულ ვაშბატონებს.  
თუ სინამდვილე ისე განვითარდებოდა, როგორც მათ  
სურდათ, ჭოჭხეთური ღუმელები ტრებლინკასა და  
ოსვენციმში დღესაც არ შეწყვეტდნენ ხრხოლვას  
და მილიონობით ახალი მსხვერპლი მიემატებოდა  
დაღუპულთა შემადრწუნებელ რიცხვს.

ეს ღუმელები კარგად არც იყვნენ განელებულნი,  
როცა დასავლეთის ყუბაღებულნი „თავისუფალი  
სამყაროს“ მესვეურნი ახალი ომის გაჩაღებაზე  
ალაპარაკდნენ. ამ ლაპარაკს სულ მალე მონაშ-  
ოლების ოქროს ჩხრიალი მოჰყვა, ოქროს ჩხრიალს  
კი — სეულისა და ფენიანის ხანძრები, შემდეგ  
სისხლიანი ვაქანალიები კონგოსა და გვატემალა-  
ში, ინდონეზიასა და სან-დომინგოში, შვიდწლიანი  
ბრძოლები ალჟირში, ამერიკის შეერთებუ-  
ლი შტატების ნამდვილი ომი სამხრეთ ვიეტნამ-  
ში, რომელიც სულ უფრო მხეცური და დაუნდობე-  
ლი ხდება და, ბოლოს, ისრაელთა ალვირახსნილი  
თარეში არაბთა მიწებზე.

მაგრამ მსოფლიო უკვე ისეთი აღარ არის, რო-  
გორც წინათ იყო.

ხალხებს არ დავიწყებიათ წარსული სისხლისღვრა,  
რომელმაც ორმოცდაათი მილიონი სიცოცხლე შე-  
იწირა. ჭერ კიდევ ელოდებიან დედები თავიანთ უკ-  
ვალოდ დაკარგულ შვილებს, ხოლო ადამიანებმა  
იციან — თუ მტკიცედ დადგებიან ერთმანეთის  
მხარდამხარ, ვერავითარი ომის ცეცხლი ვეღარ აბ-  
რიალდება დედამიწაზე.

გაზაფხულის ამ ულამაზესმა დღემ დაბადა მათში  
ეს რწმენა.

და ჩვენც ვზეიმობთ გამარჯვებას არა მარტო იმი-  
ტომ, რომ მან უშიშროება და მშვიდობა მოუტანა  
ჩვენს ქვეყანას, არამედ იმიტომაც, რომ მან გაა-  
თავისუფლა მეზობელი მოძმე ხალხები, რომლებთა-  
ნაც დღეს ღრმა და გულითადი მეგობრობა გვაკავ-  
შირებს, მან იხსნა მთელი მსოფლიო ფაშისმის ბორ-  
კილებისაგან, კიდევ უფრო განამტკიცა და გააძლი-  
ერა ჭეშმარიტი დემოკრატია.

ეს გამარჯვება ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების  
წყაროა, — ახალი დემოკრატიული მსოფლიოს გა-  
ზაფხული.

ამიტომ ვზეიმობთ ჩვენ ამ დიდებულ დღეს.

F3416



# ჩოჩოჩ უყვარდათ, ჩოჩოჩ კვდასოდნან...



კლავია ტორლა

მხატვარი ლ. პრისტავი.

ნოველები ახალი წიგნიდან

## აღსარება

არ ვიცი, აღსარება და, მაშასადამე, განწმენდაა ეს ჩემი სულია, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, თუ ცდაა იმის უკვდავყოფისა, ვისზეც გაიმბობთ. გაიმბობთ კი ცხრამეტოდე წლის ლატვიელ ბრიედისზე, სწორედ იმ ბოლო წამთარში რომ დაშინიშნეს მეკავშირედ.

აღნაგობით იგი უთუოდ რომელიმე ლატვიური ზღაპრიდან აღმდგარი გმირი იყო — ძალუმი ჭაბუკი, გულით კეთილი, ბავშვით მორცხვი, მორიდებული. ჩვენ ჯერ მხოლოდ ღია ცის ქვეშ, ბრძოლის ველზე ან მცირედ შესვენებებზე ვიცნობდით ერთმანეთს. მეკავშირედ იგი შემეგნებოდა ჩემზე ბევრად უფრო მაღალი რანგის ოფიცირს. მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა — არ იცოდა რუსული ენა — ამჯერად ჩემი ხიდი, ლატვიელ თანამებრძოლთა გულთან მისასვლელი.

პირველი ეშელონის ნაწილებმა გერმანელები

მორიგი ზღუდიდან რომ უკუაქციეს და ტყის პირას გამაგრდნენ, ჩვენი ბატალიონებისა და მათ მხარდამჭერ ჯგუფების მეთაურებს გვებრძანა გავსულიყავით წინ, მარჯვენა, რამდენადმე სუსტ ფლანგზე და ღამე ერთობლივად დაგვეგეგმა დილის შეტევა.

რაკი ბატალიონის მეთაურსა და შტაბის უფროსს მოჰყავდათ თავიანთი მეკავშირეები, საჭიროდ არ ჩავთვალე თან წამეყვანა ჩემიც.

— შეგიძლია დარჩე ამაღამ აქ, ხვალ დილით გამოჰყვები ხანტარულ ნაწილს! — ვეუბნები ბრიედისს.

არ ვიცი, ვერ გამიგო, თუ არ დაუჭერა ჩემს სიტყვებს, მიიხედ-მოიხედა, მხრები აიწურა, მერე ბავშვური თვალებით მომაჩერდა და დაბნეულად წამოიძახა:

— არა, არა. მეც მოვდივარ!

— აკი გეუბნები, ჯერ საჭირო არა ხარ-მეთქი, ზღუდემ წინ გადაიწია, იქ უნდა გავმაგრდეთ. ერთი ღამე მაინც თბილ ბლინდაუში დაიძინე!..

და წავიდა.

ჩვენ გერმანელებისაგან მიტოვებულ ათმაგ ძელნაფენ უზარმაზარ ბლინდაუში — ბრძოლის ველის ამ ნაშდვილ სასახლეში მოვიყარეთ თავი. ბევრნი ვიყავით — ქვეითთა, ტანკისტთა, მფრინავთა, მესანგრეთა მეთაურები, მათი მოადგილეები და შტაბის უფროსები, თანაშემწეები და მეკავშირეები, რადისტები და ტელეფონისტები — გამარჯვების სიხარულით აღვვებულნი, ესოდენ მნიშვნელოვანი ზღუდე რომ დავიპყარით.

გაიშალა საბრძოლო რუკები, გაიმართა მსჯელობა, გაიბა სატელეფონო კავშირი წინა ხაზთან, ამოქმედდნენ რაციები, დაიწყო კოდით თუ უკოდოდ ლაპარაკი...

— აი თქვენ, გერმანული პისტოლეტი ვაზნებით, ამხანაგო მეთაურო, იქნებ ისურვოთ! — მკვდრებით აღმდგარივით დამჩერებია თავზე ჩემი ბრიედისი და შავ, მზვინავ პისტოლეტს მაწვდის.

— ეს კარგი, მაგრამ შენ აქ რა გინდა, ხომ გითხარი იქ დარჩენილიყავი! — გავუჯავრდი და ძვირფას ნადავლს თვალი შევავლე.

იგი სიყვარულით მომაჩერდა, ხელების ფენით და რუსულ-ლატვიური ჩიქორთულით დაიწყო თავის მართლება.

— აბა შენ მითხარი, ზიტანსო, რას მელაპარაკებთა ეს ბიჭი, — მივმართე იქვე, ბლინდაუს კუთხეში ჩამუხლებულ ტელეფონისტს, აპარატს რომ მართავდა.

— წინა ხაზი აქეთ წამოვიდა, მე ზურგში რად დავრჩენილიყავიო, ამბობს. მე უფლება მაქვს, თხოვნა არ შევასრულოო, თქვენ ზურგში დარჩენა მოხვით, კი არ გიბრძანებთათო...

მებრძანებინა!

მეოთხედი საუკუნეა დროდადრო გულს მიღრუნის ეს ერთი სიტყვა — მებრძანებინა!

პირდაპირი დამიზნებით ჩვენს ბლინდაუში შესასვლელიდან შემოჭრილი მტრის სამი ჭურვიდან პირველმა იმსხვერპლა იგი და ზიტანსი. მომდევნო ჭურვებმა დაგვცა სხვებიც, ბევრი — სამუდამოდ.

ბრიედისსაც სწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ ეს-წრაფოდა თავანკარას!



მოწინააღმდეგეთ სათვალავო ხაზებს შორის მდებარე ტერიტორიის შუა ზონას არავისა ეტყვიან. იგი არავისა, არც ერთი მეომარი მხარისა და არც მეორისა. მას, ვიდრე ფრონტი სტაბილურია, ადამიანის ფეხი არ დაეკარება, იშვიათად, რომ ჩიტიც დაფრინდეს. განუწყვეტელი მიმოსროლილი და, ამიტომაც, სასტიკად დაცული ზონაა ეს იდუმალი „არავისა“.

უთუოდ ამ თვისებების გამო დაესხნა მას სახელს ჩემი ასეულის მეომართა მახვილი გონება უკლებლივ ყველას ტრფობის საგნისათვის.

ტრფობის ეს საგანიც ისევე იყო ათობით წყვილ თვალთა ისრის მიმოსროლის ასპარეზი, როგორც ის იდუმალი ზონა — არავისა ტყვიებისა და ჭურვებისათვის.

მას შემდეგ, რაც თვითუღმა ამაოდ სცადა ბედი მისი გულის თუ არა, უბრალო სიმპათიის მოსაპოვებლად მაინც, — შეაქვეს არავისა. ამიერიდან, საკუთარი სახელით — ანიუტა — პირადად მას თუ მიმართავდნენ გაუბედობისაგან, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი არავისა ერქვა.

თვითონ ხომ ამშვენებდა გვარს, მაგრამ თითქოს ეს უკანასკნელიც ამკობდა ამ გოგონას — ზოლოტოვა იყო, ორიოლიდან. იმ წელს დაემთავრებინა ათწლილი, მერე მედდათა კურსები გაეგლო და მალე ჩვენს სანიტარულ ოცეულში მოხვედრილიყო. მოვიდა და გადარია დიდი თუ პატარა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მკაცრი და უკარება, თავდაუზოგავი მამაცი ბრძოლის ველზე...

ზუსტად აღარ მახსოვს იმ სიმღერის ტექსტი, ჩუმი სევდიანი დღინით რომ მსმენია სანგრებსა თუ ბლინდაუბში, აი ასეთი შინაარსისა:

ოქროსთმიანო, ცისფერთვალემა,  
შენი გული რომ არც ერთს გვეღირსა,  
შენ უკარნახე ბედს — ეს ენება,  
ყველასიანო და არავისა!?

ერთიმეორეს არ უმხელდნენ, თორემ, ისე, ამ სიმღერის მისამართი ყველამ იცოდა, შესაძლოა, თვით ანიუტამაც. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ, — ეს იყო დილაადრიან, მოწინავე ხაზის შემოვლისას, ასმეთაურმა სერგეი სოლნცევმა ჩაიმღერა:

ოქროსთმიანო, ცისფერთვალემა,  
ყველასიანო და არავისა!..

სხვა დროს ისე არასოდეს ჩასწვდომია ჩემს გულს სანგრებში დაბადებული ეს დამაფიქრველი სიმღერა. ჩვენ მივდევდით ზღვად აღმდგებული, დილის მზის სხივებით შეოქროვილი, ნამდაფრქვეული ყანის თავში გაკვალულ საცალფებო ბილიკს, რომლის გაყოლებითაც თავდაცვის ხაზი გადიოდა. ზაფხულის მიწის ოხშივარი, თავთუხის სურნელთან შეზავებული, დილის მზე და ნელი ნიავი ძარღვებში სიცოცხლის ძალის მოქცევას აგრძობინებდა ადამიანს. ოღონდ ეს შეუწყვეტელი მიმოსროლა, ფრონტზე მეთოდურ ცეცხლს რომ ეტყვიან ხანგრძლივი თავდაცვისას, მწარე სინამდვილესთან გაბრუნებდა და მოგაგონებდა, რომ ახალგაზრდულ ძარღვებში მჩქროლავ ამ სიცოცხლის ზეიმს, საფრთხეც ემუქრებოდა.

სიმღერა აბა სად დაელოდებოდა სიმშვიდეს, — მიაბიჯებდა სოლნცევი და მიიმღეროდა:

ოქროსთმიანო, ცისფერთვალემა!..

ნაბიჯი შევენდეთ, მინდოდა იგი მარტო დარჩენილიყო თავის სიმღერასთან. ჩემს გულში რაღაც ახალი აღმოვაჩინე და შეუცნობელი შევიცან, საიდუმლოს თითქოს გასაღები ვუპოვე და... ანიუტას მეტსახელიც წამში კითხვის ნიშნის ქვეშ დამიდგა.

„მაშ, ანიუტა ხარ შენ მხოლოდ!..“ — გამიღვია. მაგრამ, რომ არასოდეს, არც ერთ ჩვენგანს საეჭვო არაფერი შეგვიჩვენა მათს ურთიერთობაში?!.. — ანიუტა დობილებისაგან არაფრით იყო გამორჩეული, მათთან ერთად ეწეოდა ფრონტული ცხოვრების ჰაზანს. თუმცა, გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, თუ სოლნცევი ანიუტას გულს მოიგებდა — ასეულის მეთაური ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი იყო. მივიკრდა კიდეც, ასეთმა ყმაწვილმა კაცმა როდისღა მოასწრო უმადლესიც, კაპიტნობაც, ბრძოლაში წარჩინება და იმ დროისათვის იშვიათის — ორდენის დამსახურებაც.

— სარდლობას აქვს ცნობა, რომ კონტრიერიში მოსალოდნელია. შუალედები საციცხლე წერტილით გასამაგრებელი გვაქვს. მეოთხე ოცეული მარცხენა ფლანგზეა გადმოსაყვანი; მერვე კვადრატში ღამე ნაღმებია ჩასაწყობი, — მესმოდა ასმეთაურის განკარგულების ეს სიტყვები, მაგრამ ისინი ვერ შლიდნენ წიდანდელს:

ოქროსთმიანო, ცისფერთვალემა,  
ყველასიანო და არავისა!..

მხოლოდ ერთმა დობილმა მოპოვინა ნათელი საიდუმლოს, როცა ბრძოლის მიწების შემდეგ, განთავისუფლებული სოფლის თავში, გზისპირის ლამაზ ბორცვზე, ახალგაზრდა არყის ხის ქვეშ გაბრილ მიწას მივაბარეთ მამაცურად დაღუპული ანიუტას ცხედარი.

— მისი კომკავშირული ბილეთი, ამხანაგო პოლიტბელო... ამას კი რაღა ვუყო, მისი გაუგზავნელი წერილებია... მას უყვარდა ერთი, ვის სახელს საკუთარ თავსაც არ უმხელდა, — ქვითინმორეული, ძლივსგასაგონი სიტყვებით იღებდა დობილი ანიუტას დანატოვარი ჩანთიდან ყოველივე ამას და მაწვდიდა.

თვალვებდასიებული მეომრებით გარშემორტყმული, თავდაცვ ტუჩებთართოლებული ვათვლიერებდი მოწაფური ხელით გამოყვანილ სტრიქონებიან რვეულის ფურცლებს, მიძღვნილს იმ „ერთისადმი“.

„დაე იცოდეს“, — გამიღვია გადაწყვეტილებამ. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ვიდრე ღრმა ზურგში გადააფრინდნენ, საველიე ზოსპიტალში უნდა მიმესწრო და ეს წერილ-დღიურები გადამიცა მისი მძიმედ დაჭრილი ადრესატისათვის.

არც არაფერი მოთქვამს, არც არავინ შემკითხვია რასმე, ყველანი მივხვდით, რომ ადრესატი ს. ს. სხვა არავინ უნდა ყოფილიყო, თუ არა ჩვენი ასმეთაური სერგეი სოლნცევი.

„ეხ, ძმობილო, ძმობილო! — მწერდა მოგვიანებით ზოსპიტალიდან სოლნცევი, — ამ დღიურების წამკითხველი ვუბრუნდები წარსულს და ახლად ახელილი თვალით ვხედავ ანიუტას, მეც არავისად რომ ვთვლიდი. ახლალა მესმის, რომ მომკვდარა იგი ჩემად, მით უფრო სამძიმოა მის გახსენება, თუ როგორ მოკვდა იგი ჩემი გულისათვის... ის იყო, შენ ტყვიამფრქვევის ცეცხლი გადაიტანე მარ-



ჩვენა ფლანგზე მოიერიშეთა მხარდასაქერად, მე დავძარი მევტომბატეთა ოცეული ახლო ბრძოლისათვის. ტყუილად არ მაეგვებდა ესოდენ შეუფერხებელი წინ წაწევა. შენც ხედავდი, როგორ დაგვიშინეს ქვემეხებიდან. ორი დაჭრილი უკვე ჩაიყვანა ანიუტამ ნაუშობარეში. მესამედ მე დამცა ჭურვის ნამსხვრევმა. მაგრამ ეს კიდეც ცოტა უბედურება იყო — ცეცხლი ძლიერდებოდა. ანიუტა კი მორბოდა ჩემკენ. რით შევაჩერო?! „ახლოს არ მოხვიდე!“ — არ მახსოვს, ვუყვირე და არ გამიგონა, თუ, სისხლით დაცლილს, მუცელშივე ჩამიბრუნდა ხმა, და ველაჩ გადაგონე, — ანიუტა, გულზე საველიე ჩანთამოფარებული, მორბოდა ჩემს საშველად. უკვე მიჭირდა თვალის გახელაც...

ძლივს გავხსენი დამძიმებული ქუთუთოები, ბურანში ვამჩნევ, იგი დაეცა... დაეცა ჩემსკენ მკლავგამოწვდილი. მერე წამოდგომა სცადა, მაგრამ ამაოდ! მაშინ მარჯვენა ხელი მძიმედ მიიტანა სახეზე, ჩამოშლილი კულულები რომ გადაეწია. ეს კულულები უთუოდ უშლიდა ჩემს დანახვას. ეს იყო მისი უკანასკნელი მოძრაობა, ბურანში რომ წაშვედა“.

როგორ უყვარდათ, როგორ კვდებოდნენ...

# ლევონიკა და სუთია

რუსულან ნიკოლაი

გლებთა დეპუტატების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა (4-28 მაისი, ძვ. სტილით) სახალხო სახელში ჩატარდა და მას მთელი ჩვენი ოჯახი დაეხმარა, გიორგის გარდა; გლებთა დეპუტატების ყრილობის სამდივნოს ბურჟუაზიული ხელისუფლებები იყვნენ — რუსულან მიქლაძე, ელენე ლოლობერიძე და ანა ჩხეიძე, თავდაპირველად ჩვენსავით ჯარებს შემოყალიბებდა თავრიდის სახალხოში; მათი წყალობით მე და თამარ აქაც შინაურებით შევდიოდით და გამოვდიოდით. ამიტომ, ცხადია, ყრილობაზე შესასვლელი ბილეთები ყველასთვის მივიღეთ, ვინც კი მოინდომა იქ დასწრება.

დიდად საინტერესო ხასიათი მიიღო ამ ყრილობაში, იმით, რომ 22 მაისს სიტყვით გამოვიდა ლენინი; ამ სიტყვამ და „სოლოდატსკაია პრავდას“ № 18-ის დამატების სახით გამოქვეყნებულმა და დეპუტატებისთვის დარიგებულმა რსდმპ(ბ) რეზოლუციამ მთელი ის შეკრება ააფორიაქა, ერთიმეორის პირისპირ დაყენა: დედგატები აღტაცებულნი იყვნენ, ყრილობის პრეზიდიუმი კი აღშფოთებით შეხვდა ლენინის გამოსვლას; განსაკუთრებით მოხვდა ორ იქ დამსწრე „დროებით“ მინისტრს, სოფლის მეურნეობისა, შინგარევის, და აღარ მახსოვს რისი მინისტრი იყო, ვიქტორ ჩერნოვი; გამახსენდა 1906 წლის უნევა, როცა ლენინი გამოვიდა ჩერნოვის მოხსენებების კრიტიკით; ეს ჩემი იღბალი გამოდგა, რომ მაშინ უნევაში ვიყავ და შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი იმ კამათს; და აი, თორმეტი წლის შემდეგ ახლოვდებოდა დრო, როცა რეალურად უნდა განხორციელებულიყო ლენინის მოწოდება — „მთელი მიწა უკლებლივ უნდა გადავიდეს მთელი ხალხის საკუთრებად“... უნევაში ეს თეორიული დავა იყო ესერების აგრარული პროგრამის წინააღმდეგ და, როგორც ამ მოგონებათა დასაწყისში აღვნიშნე, ჩერნოვი მაშინაც „ორივე ბეჭე“ დანარცხებული რჩებოდა მუდამ.

მაგრამ იქ ეს იყო ოცნება მომავალზე. აქ კი ორივე მაშინდელი დებულება ლენინისა — მთელი მიწა სოფლის მშრომელების და მთელი ძალაუფლება თვით ხალხს (ე. ი. მუშების, ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატებს), უკვე განხორციელების წევარზე იყო მიმდგარი, რადგან მეფესთან ერთად მთელი მისი მხლებელი მემამულე თავდაზნაურობაც ჰქარგავდა თავის ძალას, ე. ი. უკანონოდ მისთვის ნაბოძებ უფლებებს და ათეულ-ათასეულ ქცევა მიწებს ყოფილი იმპერიის თვალუწყვედენელ ფართობებზე. ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ, მაგრამ გუშინდელზე უფრო ცოცხლად დღესაც ამნათო და მიდულს გულში ლენინის იმ დაუვიწყარი გამოსვლის, იმ გოლიათური იერიშის დილა სახალხო სახლის ხალხით გაჭედილ მრავალხართულიან სასცენო დარბაზში. როდესაც ლენინმა თავისი სიტყვის შუა ნაწილში წარმოთქვა:

С установлением свободы, с этого момента, помещичья власть должна считаться...

\* დასასრული. იხ. „დროში“, № 4.

აქ ის წამიერად შეჩერდა, მარჯვენა ხელი ზევით ასწია, თითქოს მტერზე გამარჯვების ნიშნად, და წამოიძახა (მომჩვენა თითქოს ახალი ხმით): **свергнутой...** კიდევ შეჩერდა წამიერად და ორივე ხელის მისხურად წინ წამოვადებით ასე დაამთავრა: **раз и навсегда!**

ოჰ, რა აღტაცების გრიგალი მოხვეა ამ სიტყვებს... ამის გამოცემა ჩემს ენას არ ძალუძს. დარბაზის ყველა სართულზე დამსწრენი ერთდროულად წამოცვივდნენ, ისმოდა გაუთავებელი შეძახილები. თავმჯდომარემ ხელით სარკეა ბრინჯაოს ზარის ხუფით კინაღამ უშეფლებელი წყლით სავსე გრაფინი დაამსხვრია, მაგრამ აუდიტორიის დაწყნარებას არაფერი ეშველა. ეს კი ხომ მხოლოდ პირველი ნაწილი იყო საათნაშენისა, განუყოფელი იერიშისა, რომელსაც უნდა მოხყოლოდა რუსეთის უნაპირო საყენ მიწების ხალხისთვის გადაცემა, ეს იყო იერიში მტერზე, აქვე, სულ ახლოს, პრეზიდიუმში რომ იყვნენ ჩასაფრებულნი.

იმ პრეზიდიუმს რომ გადავავლე თვალი, ამ ოვაციების დაუწყნარებელი ჰეპა-ჰუხილის წუთებში, აკაის და მამაჩემის საყვარელი თქმა გამახსენდა, პოლემიკის დროს, ბრძოლაწაგებულ მოწინააღმდეგეებს (ან ერთმანეთს) რომ მიმართავდნენ ხოლმე სიცილით:

დაგიღრეჭია, მეფეო,  
ალარ გიციინის პირიო...

ასევე „აღარ უცინოდა პირი“ მთელს იმ სხლომის პრეზიდიუმსაც, პირველ რიგში, ორივე მინისტრს — ჩერნოვისა და შინგარევის. და მათს გვერდით აღმოჩნდა მართლაც რომ „ვერდესუში“ (ყველგან თავის ამომყოფი) კერენსკიც, ყველაზე უფრო „დაღრეჭილი“ ამ ოვაციების გამო.

მათს შემდეგ ჩემი დედ-მამა მოვძებნე თვალით, ისინი საპატიო ადგილებზე დაესხა ავსენტიევის. მინდოდა გამეგო — ნეტავი როგორ იღებენ-მეთქი ამ მძაფრ იერიშს? რა ბედნიერება იგრძნო ჩემმა გულმა, როცა დავინახე თვებზე წამომდგარი მამაჩემი; აშკარა იყო, იგი მთელი ჩვენი პატარა სამშობლოს გლებობის სახელით აღტაცებით, ფართო დიმილით ტაშს უქრავდა ორატორს, აშკარად უკვე გამარჯვებულს.

აუწერელია იმ სხლომის შთაბეჭდილება და ლენინის იმ განსაკუთრებული იდეური მაგნეტოზმის (თუ არ ვიცი რა დავარქვა მას) სტიქიური ზემოქმედება, რომლითაც დამთავრდა მისი გამოსვლა, და მასთან ერთად, თვით სხლომზე. ყველა სართულიდან ჩამორბენილი დედეგატები შემოეხვივნენ ტრიბუნას, მათ შემოუერთდა ჯარისკაცთა ფორმაში გამოწყობილი დედეგატების თუ სტუმრების მთელი კედელი; საიდანაც გაჩნდნენ გულზეცხელ-მოდებული მეწვეაურებიც. ისინი ისე მჭიდროდ შემოერთდნენ გარს ილიჩს, რომ ჩვენ მას ვეღარ ვხედავდით.

გლებთა დეპუტატების ყრილობის შემდეგ მთელი ჩვენი ტელეფონელთა რაზმიც, ისტორიკოსთა თავრიდის სექციაც დაგზარუნდნენ სასახლეში იმ რწმენით, რომ ახლა უკვე ყველა მხრიდან ვიცვინოდით ამ ამოუწურავი ბუნების გენიალურ მებრძოლს და „ჩაგრულთა მამას“ — ლენინს.

სულ მალე, ჩვენი „თავრიდის“ მთელი მარცხენა ფრთა, ხვეტებიანი დარბაზის ჩვენს შუა ნაწილთან ერთად, ვასილის კუნძულის კედელთა კორპუსის შენობაში გადავიდა. აქ, ვასილის კუნძულზე გამოჩნდა ჩვენს პორიზონტზე ანატოლი ლუნაჩარსკი და თითქმის პირველივე დღიდან ახლო დაგვიმეგობრდა. ის, საერთოდ, ძალიან სიმპათიური, რევოლუციით რომანტიკულად ანთებული ბუნების ადამიანი იყო... გარდა ამისა, ლუნაჩარსკის დიდად აინტერესებდა „შოთა რუსთაველის ქვეყნის“ ძველი კულტურაცამან, ცხადია, ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა; 1925 წელს, როცა ის თბილისში ჩამოვიდა, ეს მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა, თბილისში მას ხშირად ვხვდებოდით ჩვენს საერთო მეგობართან, დავით კანდელაკთან, რომელიც მაშინ სახალხო განათლების კომისარი იყო. მეც მასთან ვმუშაობდი.

მაგრამ დავზარუნდეთ ისევ ცხარას ჩვილმეტ წელს. ლენინი ლუნაჩარსკის ფრთად ახლოვებულ ადამიანად სთვლიდა, მას უყვარდა ლუნაჩარსკისთანა ერთუზიანობა თავისი საქმის, და ამასთან ასეთი მახვილგონიერი პუბლიცისტები. საოცრად გულტბილი იყო მათი ურთიერთობა. თვით ლუნაჩარსკი კი ილიჩზე პირდაპირ შეყვარებული იყო. თბილისში ჩამოსვლისას, როცა პირველად შემხვდა განათლების სახალხო კომისარიატში, მაშინვე მომმართა:

— Помните как мы с Вами на Съезде с Ильичем...

და მდღეგარებისაგან ვეღარ დამთავრა... ეს იყო ლენინის გარდაცვალების მეორე წელს.

ვასილის კუნძულზე, ორი კვირა გავატარეთ, მანამდე ვიდრე საზღვრულად წავიდოდით. და აქაც იმ სხლომების ყოველი დღე რაიმე ახალ მხარეს გვიმხელდა ლენინის მართლაც რომ ამოუწურავი ბუნებიდან. მისი მთელი არსებით გაშუქება ძნელია ჩემისთანა „ფორმულების ენით“ მიტყვევება-გადაგვარებული ქიმიკოსისთვის. მას ჰქონდა საოცრად გამახვილებული ალღო ყოველი მასთან შემხვედრი ადამიანისადმი თავთავისი ნიუანსით მიდგომისა, ამ მიდგომის უფაქიურის დაეღფერებით და ამითი იმ პირისგონის ბუნების უღრმეს მხარებში ჩაწვდომით.

ლუნაჩარსკი „ეოლის ქნარს“ უწოდებდა ლენინის გულს, რაც საოცარი სიცხადით და სიზუსტით დადასტურა ორ ევენის განხილვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობამ, რომელსაც არ დაკლებია არც ერთი იმ დროის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, რა პოზიციაზეც უნდა მდგარიყო იგი.

მაგრამ თუ ასე განვგარძე, ამ მოგონებას ბოლო აღარ ექნება. დროა დავამთავრო, რადგან ჩემი წემოთ გადმოცემული, გულიდან ამოუშლილი შთაბეჭდილებების შემდეგ დანარჩენი ფაქტები წვრილმანად მიჩვენებია.

ამიტომ ამაზე გწყვეტ ჩემს გადაფრენას ნახევარსაუკუნის მიღმა, ნეგას ნაპირებზე. დაილოცოს თავრიდის სახალხო, მისი ტელეფონებით და ჯარისკაცთა გაზეთის პატარა მაგიდით, რომელთაც ასე ახლო გვაჩვენებს ლენინი და დაილოცოს ვოლგას ნაპირები, რომლებზეც ის გაჩინეს...

დასასრულ მინდა მადლობა მოგახსენო ჟურნალ „დროში“ რედაქციის მუშაკს, მწერალ ალექსანდრე სიგუას, რომელმაც გამაბედვინა და დამაწყებინა ამ მოგონებების დაწერა. ის რომ „სულთამსუთავად“ თავზე არ დამდგომოდა, ეს ჩემი ჩანაწერები მზის სინათლეს ვერ იხილავდა.



ალექსი ჭავჭავაძის თანამებრძოლებთან ერთად.

გალი ასეული კილომეტრი გამოვიარეთ, რიგამდე კი, სადაც ჩვენ მივიჩქარით, ცხრა-კილომეტრად არჩება; მას შემდგარად, ბიჭებო, ჩვენ ხომ გამარჯვება ყოველთვის თან გვდევს.

როცა ფრონტის წინ მდგომმა ასეულმა კილომეტრამდე მოქმედება დაიწყო, გერმანელებმა მრავალი ყურადღება აქეთ გადმოიტანეს, ისინი სწორედ აქედან ელოდნენ ჩვენი მებრძოლების შეტევას. ამით ისარგებლეს ზურგში გაგზავნილმა ასეულებმა და დაიწყეს გაბედული მოქმედება მოწინააღმდეგის ფლანგებზე, დაიკავეს გზატკეცილი და აიღეს ახლო მდებარე სიმაღლეები, ამრიგად, გერმანელები ალყაში მოექცნენ. დადგა გადაწყვეტი ბრძოლის წუთები. ჭავჭავაძის ნიშანზე მთელი ბატალიონი გადავიდა შეტევაზე. ჰიტლერელები ფრონტიდან, ფლანგებიდან და ზურგიდან გამანადგურებელი ცეცხლის რკალში მოექცნენ, მტერი დაიხრა და ამოიდ ეძებდა

ილია ჭავჭავაძე

# ბატალიონის მ ა ე თ ა უ ჯ ი

დავტყერი სიძველისაგან გაყვითლებულ და გაცრეცილ გაზეთების ფურცლებს, საიდანაც კუშტად გამოიყურებოდა ჩემი ფრონტული მეგობრები. აგერ, ოცდასამი წლის ჰაბუკის, ბატალიონის მეთაურის ალექსი ჭავჭავაძის სურათი. დიწხად, ოდნავ წარბებზე შემუქმუნებული გამოიყურება. ეტყობა, ფრონტულ კორესპონდენტს სურათზე აღუბეჭდავს იმ დროს, როდესაც იგი ჩაფიქრებული, თითქოს გონების თვალთვალს გასცქეროდა გარდახდილ ბრძოლას. სურათის ზევით მსხვილი შრიფტით წარწერილია: „შეუენლებლად მისდით, ალყა შემოარტყით და კანადგურეთ გერმანელი ფაშისტები ისე, როგორც ამას აქეთებენ კაპიტან ალექსი ჭავჭავაძის მებრძოლები“.

...ბრძოლის უინით აღზნებული მეომრება სამი მიმართულებით უტევენ ჩვენი ყურეს. ერთი მხრიდან მიიწვევენ ნიკოლოზ გრუდინის მზვერავები, მეორედან — ლენინგრადელი ტანკისტები, ხოლო მესამედან მიმართულებით ალექსი ჭავჭავაძის ბატალიონი უტევა. იმ დღეს ალექსის ბატალიონის მეომრებმა, მთელი საბრძოლო საჭურველით დატვირთულნი, ორმოცდაათი კილომეტრი განვლეს ბრძოლებით; ჩქარობდნენ, რათა გზა მოეპრათ უკანდახელი გერმანელებისათვის, რომლებიც ისწრაფოდნენ ჩვენი ყურეს ნაპირებისაკენ, სადაც მათ თავშესაფარი ეგულებოდათ, მაგრამ ამოიდ. მათ იქ დიხხანს გაჩერება არ ეწყობათ.

ალექსიმ გახურებული შუბლი ნიავს მიუშვია, შემდეგ ზღვის ნაპირს გააყოლა თვალი. შორს, შორს, ტყეების იქით მოჩანდა მშვენიერი ქალაქი რიგა, რომელიც მათ უნდა გაეთავისუფლებინათ მტრის უღლისაგან.

კაპიტანი ღრმად ჩაფიქრებული იყო. თავის მებრძოლებთან ერთად მძიმე და ძნელი საბრძოლო გზა გაიარა მან ლენინგრადიდან რიგის ყურემდე. ჭერ კიდევ წარშან მისი ბატალიონის მებრძოლები სინაიანოს ჭობებში იბრძოდნენ და თავიანთი მკერდით იცავდნენ ჩვენი ჩრდილოეთის დედაქალაქს; მაშინ ლენინგრადი ძალებს იკრებდა სპასუხო დარტყმებისათვის, შორს იყო ბალტიისპირეთი, მაგრამ მებრძოლები უკვე ფიქრობდნენ მასზე.

და აი ახლა, კაპიტანს და მის ხელქვეითებს იერიში მიჰქვთ ბალტიისპირეთის გასათავისუფლებლად. იმ დამე ჭავჭავაძის თვისი ბატალიონით უნუღვივით ცივი მდინარე ემაიაგა უხმაურად გადალახა; მთელი დამის უძინარი და გაყინულ წყალში დასველებული მებრძოლები რთვილიან ბალახზე უძ-

რავად იწვნენ, მტრის ცხვირწინ განლაგებულნი, და ქლოდნენ შეტევის დაწყებას.

გათენებისას, როდესაც ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მტრის მოწინავე ხაზს, ბატალიონი შეტევაზე გადავიდა; მებრძოლები სწრაფად ეკეთნენ მტერს, გაარდვიეს გერმანელთა თავდაცვითი ხაზი, სანგრებში ჩაუხტნენ მტერს, იქიდან გარეკეს და თვითონ დაიკავეს მათი სანგრები. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, ფაშისტები არ მოელოდნენ ჩვენი ქვეითი ჯარის ასეთ სახეფათო სიახლოვეს. მათ ისინი მდინარის გაღმა ეგულებოდათ. ამ მოულოდნელმა დარტყმამ გერმანელები ერთხანს დააბნია, მათ უწყესრიგოდ უკან დახევა დაიწყეს. შემდეგ კი კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოახერხეს ბატალიონის საბრძოლო განლაგებამდე მიეღწიათ.

ჭავჭავაძის მებრძოლებმა ამჟერად ხელუშობარებით მოიგერიეს მტერი, შემდეგ კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. ასეთი ცხარე ბრძოლებით დაიკავეს მათ ბლაცდარში მდინარე ემაიაგის დასავლეთ ნაპირზე. შემდეგ აქ მოვიდნენ დანარჩენი ბატალიონები, პოლკები და გაათავისუფლეს ქალაქი ვალგა... თავზარდაცემული ჰიტლერელები ყურესაკენ გაბრძოდნენ, კაპიტანმა ჭავჭავაძის შექმნა პატარ-პატარა თავდასხმეული ჯგუფები, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, კვლავად მისდევდნენ ფაშისტებს, უჭრიდნენ უკანდასახვე გზებს და ასე ნაწილ-ნაწილად ანადგურებდნენ.

ჩვენი არმია დღე და დღე უტედა. მებრძოლები ჩქარობდნენ, რათა გადაეჭრათ მტრისათვის უკანდასახევი ყველა გზა; სადაც ადგილმდებარეობა ხელს უწყობდა, მოწინააღმდეგე სასწრაფოდ ჰქმნიდა თავდაცვის ახალ ხაზს, რომ სულთ მანძილ მოეთქვათ. ჭავჭავაძის მებრძოლები უკვე წააწყდნენ ერთ-ერთ ასეთ შუალედ ზღუდეს, კაპიტანმა სასწრაფოდ ვაშალა ბატალიონი საბრძოლველად, იცოდა, რომ მისი შეყოვნება მთელი დღიზიის შეყოვნებას ნიშნავდა. ის ხომ ყველაზე წინ მიდიოდა.

ალექსი ჰირველ შეტაკებისთანავე მიხვდა, რომ მტერს მცირე ძალებით მოეწყო ჩასაფრება, რათა ძირითადი ძალებისათვის უკანდახევის საშუალება მიეცა. ალექსიმ ერთი ასეული შემოვლაზე გაგზავნა, მეორე, სათანადო საცეცხლე საშუალებებით, ცენტრში დაიტოვა, ხოლო მესამე ასეული ოცეულებად დაჰყო, დასხა თვითმავალ ქვემეხებზე და დესანტად გაგზავნა ზურგში გზის გადასაჭრელად. ბრძოლის წინ მან სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს: „მებო, ლენინგრადიდან ბალტიისპირეთამდე მრ-


ფოლადის სალტედან გასაძრომს. ჭავჭავაძის მებრძოლებმა ბრწყინვალედ განახორციელეს მეთაურის გაბედული მანევრი. ვერც ერთმა გერმანელმა თავი ვერ დააღწია ალყიდან; სულ მალე საბჭოთა მებრძოლებმა ქალაქი ლიმბატი გაათავისუფლეს. მტერმა მალე დასთმო უკანასკნელი ზღუდე რიგის მისადგომებთან. ბატალიონი კვლავ გაიჭრა წინ და საღამოთი უკვე ჩვენი ყურესთან დაბანაკდა.

მეორე დღით ჩვენმა არტილერიამ, ავიაციის მხარდაჭერით, დაანგრია მოწინააღმდეგის უკანასკნელი ფორპოსტი, საბჭოთა არმიის პოლკებმა განგრეეს მტრის თავდაცვის ზღუდე და გვიდნენ კომ-უნერსზე; კაპიტან ჭავჭავაძის ბატალიონი, სხვებთან ერთად, უტედა ჩრდილო დასავლეთის მხრიდან. ამ მიმართულებით გერმანელებს მდინარე გაუიასზე ხიდისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. საჭირო იყო სწრაფი და გაბედული მოქმედება, მანამ ხიდი მთლად ჩაწყვებოდა; მხოლოდ უარესად გაბედულ ადამიანებს შეეძლოთ გასულიყვენ ალმოდებულ ხიდზე. ალექსი ჭავჭავაძის ალმოდებულე შეხება ოდნავ შეტევენებულ მებრძოლებს და შესძახა, მომკეთოთ! ვინ არ გაჰყვებოდა ბრძოლებში გამორჩობილ და ნაცად მეთაურს! ალექსიმ ცეცხლმოდებულ ხიდზე გაიყვანა მთელი ბატალიონი და რიგის ქუჩებში მებრძოლები მტერს ვეფხვივით ეკვეთნენ.

საღამოთი მოსკოვმა სალტის გრუხუნით მსოფლიოს აცნობა საბჭოთა ჯარების კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება — საბჭოთა ლტვიის დედაქალაქის, მშვენიერი რიგის განთავისუფლება.

ალექსი ჭავჭავაძის ომის ბოლო თვეებში, თავისი ბატალიონით, მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა კურლანდიის ნახევარკუნძულზე; იქ, ბალტიისპირეთში ალყაშემორტყმული მტრის ოცდაათი დღიზია გაფთრებით იბრძოდა სალტის გასაღლევად და გასაერთიანებლად, რომ საერთო ძალით გასულიყო ზღვის მხრიდან, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, ეს ბრძოლა ჩვენი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ხუთგზის დაჭრილი, ხუთი საბრძოლო ორდენით და მრავალი მედლით დაჯილდოებული მამაცი კაპიტანი ომის შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წარმატებით დაამთავრა იგი და დღეს თავდადებით ეწევა მშვიდობიან შრომას სამშობლოს საყვითლდღევად.



მედიკალი  
ბიბლიოთეკა

# გონიო...



# ნაჩიჟო ბაჩაშიძე

ამ სოფლის სახელი იციან არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში. ჩვენს ძველ მატია-ნებში ხშირად წაწუდებით ამ სახელს. ამ მიდამოებთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და გადმოცემა, რომლებიც მოგვითხრობენ მშრომელი კაცის ბრძოლაზე უწყალო და უკულმართ ბედთან, შემოსეულ მტერთან.

დღეს გონიოს ვეღარ იცნობ — ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ თავისი მადლითა და სიკეთით აავსო ეს სოფელიც. გონიოს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ბათუმის რაიონში. ჩაისა და ციტრუსების მოსავლის გეგმებს კოლმეურნეობა მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

ბევრი სასახელო ადამიანი ჰყავს ამ სოფელს; ჩვენ აქ მხოლოდ ერთ მათგანს ვაგაცნობთ. ამ სოფლის თვალთა ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი ნარიკო ბარამიძე — გამრჩე, დაუზარელი, კეთილი, ხალისიანი; ნარიკო სამი შვილის დედაა; მისი ბავშვები მუდამ ფაჭიზად და სანიმუშოდ მოვლილი, მუდამ სუფთად და ღამაზად ჩაცმულნი გამოდიან ეზოდან.

ვინც ოჯახში კარგია, ის საქვეუწო შრომაშიც სასახელო ადამიანია. ასეა ნარიკოც. მისი პლანტაცია სანიმუშოა მთელ გონიოში. ის არა მარტო თავის ნაკვეთს დასტრიალებს თავს; როგორც აქტიური კომკავშირელი, ის შრომისადმი სიყვარულს უნერგავს თავის ტოლებს და უმცროსებს, ასწავლის, ურჩევს, დარიგებას აძლევს.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო ნარიკო ოჯახში, მეუღლესთან, შვილებთან ერთად, აგრეთვე მეცადინეობისა და მუშაობის დროს.







# ვაზაჰი მოთხრობა

ომი ახალი დაწყებული იყო. ახალგაზრდა მეზღვაური ბენო ჭითანავა ცდილობდა რაც შეიძლებოდა მარჯვედ დახვედროდა ყოველ მოსალოდნელ ხიფათსა და განსაცდელს.

ვიდრე ბენოს კუბრიკის მორიგეობას მიანდობდნენ, მან გულმოდგინედ შეისწავლა, თუ რა ევალება მდელეურს წესდების მიხედვით. განსაკუთრებით მკაფიოდ დამახსოვრდა ის მუხლი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ყოველი ხელქვეითი მოვალეა უფროსის არყოფნის დროს, ან მწყობრიდან მისა გამოსვლის შემთხვევაში ღირსეულად შეცვალოს იგი. ბენო დარწმუნებული იყო, რომ შეეძლო შეეცვალა კუბრიკების მორიგე და გულში ნატრობდა კიდევ, ნეტა ასეთი შემთხვევა მომეტეოს, თუმცა ის როდეს სურდა, მის ამხანაგს ცუდი რამ შემთხვევოდა და პოსტი დაეტოვებინა.

კუბრიკების მორიგეს ივან მრეჩკოს კი ხვდა სადარდელი გასჩენოდა. იმ წუთიდან, რაც შეატყობინეს, სახალხო კომისრის მოადგილის ჩამოსვლა მოსალოდნელიყო, მოსვენება დაკარგა. ფართო და უზომოდ დაუღაჟა სახე როგორც წაუგრიქვდა, დაუფრწოვდა და ფერიც კი შეეცვალა. ახლა ის გაუთავებლად დარბოდა კუბრიკებში, ისევ და ისევ ამოწმებდა იატაკის სისუფთავეს, სანაგვეებში იტყუებოდა, საპირფარეოებს დასტრიალებდა, ფანჯრის რაფებს სინჯავდა, მტვერი ხომ არ მოსდებიათო. მთელს ფლოტში იყო ცნობილი, აღმირალი ყველაზე მეტად სისუფთავეს ატყვევო ყურადღებას. ხმა დადიოდა, რომელიმე წყალქვეშა ნავზე მორიგე მატროსი სამხედრო ტრიბუნალს გადასცა უსუფთაობისთვისო.

მრეჩკომ ყველაფერი ეს იცოდა და ცდილობდა, ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. მორეცხვა, დააკრიალა იქაურობა და მეზღვაურებსაც შეეხვეწა, ხელი შემიწყეთო.

სისუფთავისა და წესიერების გარდა, მთავარია როგორ დახვედები უფროსს და როგორ მისცემ პატაკს. ყველამ იცოდა, თუნდაც ყველაფერი წესიერად გქონდეს, თუ აღმირალს კარგად ვერ მოახსენებ საქმის ვითარებას, უსიამოვნება არ აცდებდა. მრეჩკო დაუსრულებლივ იმეორებდა პატაკს, უკვე ზეპირად ახსოვდა და ასე ეგონა, ძილშიაც არ შეშეშდება, ისე ჩავაბუღებულე ყველაფერს, რაც საჭიროაო.

უფროსის მოლოდინში დრო ზანტად მიდიოდა. — ამხანაგო ზემდეგო, გუშინ ბოგარიდან ვუყურებდი, როგორ ბომბავდნენ ის მხეცები ქალაქს, — მოულოდნელად თქვა ბენომ, — მე მგონია, ქუჩაში მოსიარულეებმა კარგად არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ დროს. მარჯვნივ დავარდება ბომბი, ყველანი მარცხნივ გარბიან, მარცხნივ დავარდება, მარჯვნივ ეძებენ ხსნას... განა ყუმბარებს ასე გაქცევი?

— რას იზამ, ჭირ მიჩვეულნი არ არიან — მრეჩკოს თითქოს გამოეღვიძა, — შენ ის გირჩენია, აღმირალის შესახვედრად გაემზადო თუ რაიმე ხარვეზი შენიშნა, არც შენ დაგადგება კარგი დღე!

ზემდეგი ისე ლელავდა, უნებურად რუსულში უკრანულ სიტყვებსაც ურევდა. ბენოს კიდევ დიდხანს მოუხდებოდა მოგონინა მისი რჩევა-დარიგებანი, ტელეფონის ზარს რომ არ ეხსნა. აღმირალი ნაწილის ტერიტორიაზე იმყოფებო, ატყობინებდნენ.

— მოდის, მოდის, აღმირალი მოდის! ერთხელ კიდევ დახვედოსო! — შესძახა მრეჩკომ და თავქუდ-მოგლეჩილი გაქანდა საითაც. უეცრად ფეხი ზღურბლზე წამოჰკრა და იატაკზე ისეთი ხმაურით გაიშხლართა, რომ ჭითანავას ელდა ეცა — ხომ არაფერი დაემართაო.

უმაღლ მივარდა თანამებრძოლს. მრეჩკოს გატეხილი ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. მორიგის ბედი გადაწყვეტილი იყო. იგი დაუუყვებლივ ლაზარეთში გააქროლეს.

დერეფნის ბოლოში ფეხის ხმა გაისმა, აღმირალი მოდიოდა, თან შესაფერი ამაღა მოპყვებოდა, ზომიერი ნაბიჯებით ახლოვდებოდნენ. ჭითანავა უფრო გაკვირვებული იყო, ვიდრე შეეშვებოდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასეთი მღელვარება მოიცავდა. იყო ისეთი წამიც, როცა ძლივს ხსლია სურვილს ახლავდნენ გაქცეულიყო, საითაც თავი მიუწვდებოდა.

როგორც კი დერეფნის ბოლოში აღმირალის ოქროსფერად მოსირმული ქუდი გამოჩნდა, ბენომ მთელი ხმით შესძახა: „სმენა!“ თვითონვე ეუცნაურა თავისი ხმა და საპატიო სტუმრების შესახვედრად გაეშურა. სამი ნაბიჯის მანძილზე გაუჩერდა აღმირალს და მკაფიოდ ჩამომარცვლა:

— ამხანაგო სახალხო კომისარო! წყალქვეშა ნავების სანაპირო კუბრიკების მორიგე ზემდეგი მრეჩკო...

მეზღვაური მაშინვე მიხვდა: სულაც არ მოახსენა ის, რაც საჭირო იყო, მაგრამ შეცდომის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

— რატომ არ შეუძლია მორიგეს თვითონ მოახსენოს? — აღმირალმა ამრეჩილად გადახედა ნავის უფროსს და ისევ მეზღვაურს მიუბრუნდა: — ჭირ ერთი, უფროსებს მიმართავენ წოდების და არა თანადებობის მიხედვით, მერე კიდევ, მე სახალხო კომისრის მოადგილე ვარ და არა სახალხო კომისარი...

— ეს არაფერია, ამხანაგო აღმირალო, მეც მორიგე ზემდეგი კი არა ვარ, არამედ მხოლოდ მდელეური მატროსი, — ჭითანავას თვითონაც არ გაეგებოდა, რა უხილავმა ძალამ აიძულა გამოქომაგებოდა თავის უფროსს, — ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, ღირსეულად შეეცვალოთ უფროსები, როცა ამას შემთხვევა მოითხოვს.

ქარხნების საყვირებისა და მრავალრიცხოვანი სირენების ხმამ საპაერო განგაში აუწყეს. ჭითანავა, ხვდა მეზღვაურებთან ერთად, საბრძოლო პოსტზე გაეშურა. თითქოს რაღაც უხილავი ძალა ერეკებო, ისე გარბოდა. მალე გაუსწრო ყველას და მისმა მსხვილყალიბიანმა ტყვიამფრქვევმა მთელს პორტში პირველმა ატეხა სროლა. მტრის თვითმფრინავი მცელავი ფრენით წამოვიდა ზღვიდან, ნავის ქიშის გასწვრივ ჩამოყარა ბომბები, ზემდეგ ვირაუზე გაუხვია, პაერშივე გადაბრუნდა და ათიოდე მილის მანძილზე ჩავარდა ზღვაში, საიდანაც წყლის უზარმაზარი სვეტი აღმართა. ორმა დანარჩენმა ბომბდამშენმა საქპაროდ ჩამოყარა ყუმბარების მარაგი, ისე რომ პორტამდე არც მოუღწევიათ, მათ ჩვენი განადგურებლები გამოედევნენ და ფაშისტებმა გაქცევით თავს უშველეს. მალე სროლა დამთავრდა და განგაშიც შეწყდა.

კუბრიკში რომ დაბრუნდა, ბენომ ერთიანად შებანდული მრეჩკო დაინახა. ზემდეგმა მაშინვე უსაყვედურა — დაუდევრობა და დოჟლაპიობა გამოიჩინე, პატაკი წესიერად ვერ მიეცეო. აღმირალი ახლა აღბათ მთელი შენაერთის მორიგეობასა და მდელეურებს დახვდისო, დაასკვნა.

— მეტი საქმე არა აქვს აღმირალს, ჩვენთან ანგარიშის გასწორების გარდა!

— როგორ ბედავ ასე ლაპარაკს?! — შეუტია მრეჩკომ და უნდოდა ისე გაეთათხა მეზღვაური, როგორც ეკადრებოდა. მაგრამ სწორედ იმ წუთში

ბრძანება მოვიდა: „მეზღვაური ჭითანავა დაუყოვნებლივ შტაბში გამოცხადდესო!“

— ასე გეუთვნის, შე ხებრე შენა, იქ შტაბში გიჩვენებენ ხეირს! — ნიშნის მოგებით უთხრა მორიგემ.

მიწისქვეშეთში მოწყობილ ფართო და ნათელ დარბაზში ოფიცერთა ჯგუფი გაშლილ რუკას დასცქეროდა, ხმადაბლა კამათობდნენ. ოფიცერთა შორის ჭითანავამ აღმირალი მხოლოდ მას შემდეგ შენიშნა, რაც თავისი გამოცხადება უპატაკა. აღმირალი წელში გაიმართა და გვერდით მდგომ ოფიცერს ჰკითხა:

— მაშ ეს არის ის არწივი, დღეს რომ ისახელა თავი?

— სწორედ ის გახლავთ! — მკაფიოდ მიუგო ოფიცერმა.

აღმირალი მავიდას მოშორდა და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა გაკვირვებულ მეზღვაურს.

— გილოცავთ, ამხანაგო ჭითანავა თქვენ წარდგენილი ხართ მთავრობის ჯილდოზე მტრის ბომბდამშენის ჩამოგდებისათვის!

— განა ის... ჩამოვარდა? — დაბნეულად იკითხა მეზღვაურმა.

— არ იცოდით? — გაიცინა აღმირალმა და ძალუმი ხელი ჩამოართვა მეზღვაურს, — კარგი მტყვიამფრქვევე ყოფილხარ!

— არა, ამხანაგო აღმირალო... ყველაფერი შემთხვევით მოხდა...

— ოო, თავმდაბალიც ყოფილხართ! ეგაც კარგია ქართველი ხართ?

— ზუსტად გამოიცანით, ამხანაგო აღმირალო, ქართველი ვარ!

...ჭითანავა კუბრიკში რომ დაბრუნდა, ზემდეგს ფერშალი დასტრიალებდა თავს, სახვევს უცვლიდა. მრეჩკოს ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ მეზღვაური ძალიან კარგ გუნებაზე იყო.

— ჩანს, საქმაოდ ვერ შეგახურეს შტაბში, რაღაც ძლიერ მხიარული მეჩვენები! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ზემდეგმა.

— როგორ არა. მთავრობის ჯილდოზე წარმადგინეს!

— შენა? რისთვის? რა ჯილდოზე?

— რა ვიცი, ამხანაგო ზემდეგო, რაღაც თვითმფრინავი ჩავარდაო ზღვაში...

— შეშლიათ. რამდენი თვითმფრინავი ვარდებო, მერე შენ რაო?

— არაფერი! მაგრამ რაკი თვითმფრინავი ჩამოვარდა, ვინმე ხომ უნდა დააჭილდოონ? — ხუმრობდა ჭითანავა, — ამჭერად მე მერგო ჯილდო. ამბობენ, აღმირალს ძლიერ მოეწონაო დღევანდელი პატაკი და ამის გამო გადაუწყვეტია უთუოდ გამომაჩინოს.

მრეჩკო თითქოს გაქვავდა. დიდხანს იდგა გაოგნებული, მერე წამოიძახა:

— პატაკის მიცემა არ შეუძლია წესიერად, ჯილდოს კი აძლევენ!

— ბენომ კარგი პატაკი მისცა, შეუდარებელი... — შენიშნა ფერშალმა, — გვასახელა, სადაც საჭირო იყო, სწორედ იქ მიაკერა ტყვია. მე თვითონ ვუცქეროდი.

მრეჩკოს სახე შეუფაკლდა, თქმით კი აღარაფერი უთქვამს.



ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. შათაშვილი.



პრესკონფერენციის პრეზიდიუმი.

ეროვნული  
გეგმობა



ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ციციანი.

# საქალაქისი ვასუსი შეაჯივინა ზეპირი

ეს პრესკონფერენცია ქართველი ებრაელების საზოგადოებრიობის თხოვნით მოიწვია საქართველოს სსრ უზრუნველყოფის კავშირში. კონფერენციაზე იყვნენ რესპუბლიკური გაზეთების, უზრუნველყოფის, რადიოსა და ტელევიზიის, დეპეშათა სააგენტოს უზრუნველყოფის, აგრეთვე პრესის ცენტრალური ორგანოების საკუთარი კორესპონდენტები. პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს უზრუნველყოფის კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტი“ რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა. მან უზრუნველყოფის წარმომადგენლები — საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, კულტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებმაც თავი მოიყარეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მიგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში, სადაც პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა ქართველმა ებრაელებმა ერთსულვნად დაამტკიცეს ისრაელის ავანტიურისტული მმართველი წრეების ექსპანსიონისტური გეგმები და მთელი ქვეყნის გასაგონად განაცხადეს: ჩვენ დემოკრატიულ და პროვოკაციულ

პრესკონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.



ულ განცხადებებზე მიგვიჩნია სიონიზმის მეთაურებისა და ისრაელის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა განცხადებანი — თითქოს ჩვენს ქვეყანაში ავიწროებდნენ ებრაელებს, თითქოს მათ სურდეთ გადასახლდნენ ისრაელში. ჩვენ კატეგორიულად და უაპელაციოდ ვაცხადებთ: არა, ტელევიზიული ბატონებო, ამოა ყველა თქვენი ცდა

მოგვეყვითოთ ჩვენს საყვარელ მშობლიურ მიწა-წყალს, გადაგვაციოთ საზარბაზნე სოციალ, თქვენი ავანტიურისტული პოლიტიკის განხორციელების ბრმა იარაღად! ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აგრესიული სრიკები და ზრახვები თანამედროვე პირობებში განწირულია დასაღუპავად, რომ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმე გაიმარჯვებს!



ონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ქირურგი ა. ჩაჩაშვილი.

# ლია სვანიძე

ლია სვანიძემ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია; ამჟამად იგი ემსახურება მეტად საჭირო დარგს — მუშაობს სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის უფროს მხატვრად. ამასთან, წარმატებით განაგრძობს მუშაობას ფერწერისა და გრაფიკის უბანებში. მხატვარი ქალი წერს ლექსებსაც. ქვემოთ, მისი სურათების რეპროდუქციებთან ერთად, ვაქვეყნებთ მის სამ ლექსს.

## სამშობლო

ა, იმ აღმართს ავიდოდი,  
გავყვებოდი ველებითა,  
არასდროს დავიღლებოდი  
მარად შენი ფერებითა.

ა, იმ ქედებს მხარგაშლილებს  
მიმაწვდინა ხელებითა,  
იმ კალთებზე მომკლა, ნეტავ,  
ლურჯა ცხენის კენებითა!

## ჯახვედი...

დედას

ნეტავ სიმღერებს როგორ მღერიან?  
ან რას ცელქობენ ფოთლები კვლავაც?  
ნუთუ ცა ისევ ლურჯი ფერია?  
ნუთუ ასეთი იქნება ზვალაც?  
ნუთუ იები ისევ მოვლენ და  
უშენოდ მოვლენ ნაზი იები?  
რა პირით მოვლენ იები ჩემთან  
ფრთხილნი, ჩიები?  
ცა გახუნებულ ფოთლის ფერია,  
უტყვ ძეგლებივით დგანან სახლები...  
თითქოს, მათ შიგნით არაფერია  
ხელშესახები...



გაზაფხულის  
ქარი.

## ლადო გუდიაშვილს

ლამის ბინდი დაჰკვდომია  
მუქ ლურჯ სუფრის კუთხეს,  
უსასრულო მინდორია,  
ძილში ჩამყვა წუხელ.  
კინტოებთან, შავ ჩარჩოში,  
განაბულა ქალი.  
ერთი პური, ერთი ღოში  
და მწვანის ბჭკარი.  
გამკვირვალე ფერებია  
შელესილი კრძალვით,  
ველარ დამიჯერებია  
შექმნილია უაღმით,  
თუ მოხატა ანგელოზმა  
ენძელებით, ნამით.  
ლიცლიცია სხივთა ეშხის,  
შექმნილია შვებით.  
შენი წრფელი სიტყვა მესმის  
შენს სურათთან ვრჩები.



„მე ვხედავ მზეს“



1905 წელი.



ილუსტრაცია „თეთრი საყვლოსათვის“.



ბალადა ხევსურეთზე.

# ლია სპანიძე



ხინკალი.



„გამოღმით შენ ხარ“...

სიჩუმე.





ქართული  
ბიბლიოთეკა

ნ ა გ ნ ა ტ ო ვ ა  
დილის საარი




ნ მ ე ს ნ ო ბ ე  
დაბადება

კარგი თაოსნობა გამოიჩინა გამომცემლობა „მერანმა“ — თავისივე შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 42) მოაწყო საქართველოს სახალხო მხატვრის სევერიან მაისაშვილის წიგნის გრაფიკისა და მინიატურების საინტერესო გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო ცნობილი გრაფიკოსის ხელით შესრულებული ნახატების ორიგინალები; გამოფენა რამდენიმე დღის გახსნილი იყო, როცა შთაბეჭდილებების წიგნი მნახველების აღტაცებული ჩანაწერებით აივსო.

მხატვარ გრაფიკოსთა ასეთ პერსონალურ გამოფენებს გამომცემლობა სისტემატურად მოაწყო. ყოველი გამოფენის დახურვის დღეს, როგორც წესი, მოხდება შეხვედრა; რომლის დროსაც მწერლები, ჟურნალისტები, ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თავიანთ შთაბეჭდილებებს, შენიშვნებსა და სურვილებს გაუზიარებენ მხატვრებს.

ფოტოებზე მნახველები საგამოფენო დარბაზში



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ფოტო  
მ. თურკიანი



1944 წლის მაისში, სევასტოპოლის განთავისუფლების ოპერაციები რომ დამთავრდა, ჩვენი შენაერთი ერთხანს ყირიმში დარჩა; დივიზიის შტაბი ჭერ რაიონულ ცენტრ ფრაიდორფში იდგა, ბოლოს სიმფეროპოლის გარეუბანში გადავიდა. ჩვენი გზების რედაქციაც, რა თქმა უნდა, იქვე იყო.

იმ ხანებში ყოველ თავისუფალ ღღეს ვიყენებდით იმისათვის, რომ დავგვეთვალე დებინა და ახლოს გავცნობოდი ყირიმის ისტორიულ ადგილებს, როგორც მაგალითად, ბახჩისარაის ცნობილ სასახლეს, იალტას — თავისი ჩეხოვსეული სასახლითა და მიდამოებით, ვორანცივის სასახლეს ალუპკაში, ლივადიასა და ორენანდს სასახლებს, სადაც შემდეგ, 1945 წლის თებერვალში გაიმართა დიდი სამეულის ცნობილი ყირიმის კონფერენცია, სახელგანთქმულ ნიკიტის ბოტანიკურ ბაღს და სხვ.

და აი, 1944 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში სამუშაოება მომეცა სამხედრო ყურნალისტების ჯგუფთან ერთად ვავგზავრებულყავი ალუშტაში, ცნობილ რუს მწერალ სერგეევ-ცენსკისთან შესახვედრად, რომელიც ფაშისტ დამპყრობლებისაგან ყირიმის განთავისუფლების შემდეგ ახლად იყო დაბრუნებული თავის კარ-მიდამოში.

დილით ადრე გავუღვიძეთ გზას სიმფეროპოლ-ალუშტის გზატკეცილით, თუმცა საღდა იყო გზატკეცილი, ბომბებითა და ყუმბარებით ისე იყო გადახული, რომ ჩვენი მანქანის მძღოლი ხშირად გადაუხვევდა ხოლმე საურამე გზაზე და მას ამჯობინებდა გზატკეცილს.

სოფელ შუმს რომ მივუახლოვდით, არმული გზების მუშაკმა პეტრე ილინმა შოფერს სთხოვა, როცა ვითხოვ, მანქანა გააჩერო.

— რა მოხდა, პეტრე? — შეეკითხა მაიორი დიმიტრი ხრულდრო.

— არაფერიც არ მოხდა, — უბასუხა ილინმა, — აქ არის ერთი ისტორიული ადგილი. ის მინდა გაჩვენოთ. როგორც იცი, ბრძოლის დროს თან ვახლდი სატანკო გვარდიულ ნაწილს. აქეთ რომ ჩამოვიარეთ, პოლის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა რიაბჩენკომ მიითხრა, ეს ადგილი ისტორიულია, კუტუშოვის სახელთან არის დაკავშირებული და თუ გამახსენებ, მერე გაამბობო. მან მართლაც მიაბო დაწვრილებით, მაგრამ აქეთ აღარ ჩამომივლია და მაინტერესებს მისი ნახვა.

ამ ამბავმა ყველა დავაინტერესა.

სოფელ შუმის წინ, გზატკეცილის ნაპირზე მოჩუჩხუხებეს ჩვეულებრივი, პატარა წყარო. ის მოპირკეთებულია კირქვის ფილებით, როგორც ასობით სხვა გზისპირა შადრევნები. ამიტომ ეს წყაროც არაფრით არ იზიდავს მგზავრთა ყურადღებას. გზა კი იმდენად ფართო არ არის, რომ შადრევანთან შეიძლებოდეს მანქანების გაჩერება. ერთს კი მოავლებ თვალს იქაურობას, და მხოლოდ ექსკურსიამძღოლი, შოფერი ან აქაური მკვიდრი თუ იტყვის ხოლმე:

— კუტუშოვისას! იგი აქ დაიჭრა თვალში!  
ომამდე იქვე მიკრულ სპეციალურ მემორიალურ დაფაზე შეგეძლოთ ამოგაგონათ:

«Близ сего места, в сражении против турок Михаил Илларионович Кутузов, что после был фельдмаршалом и князем Смоленским, ранен был в глаз».

აი როგორ მომხდარა ეს.

რუსეთის ომი თურქეთთან დასასრულს უახლოვდებოდა. საომარი მოქმედება მიწყნარდა. ოცდა-

რვა წლის ოფიცერი კუტუშოვი ირიცხებოდა არმიასში, რომელიც იბრძოდა თურქების წინააღმდეგ ბესარაბიაში, იზმაილის ციხე-სიმაგრის დასაღმჭრავად. ბრძოლაში წარმატებისათვის მას აქვე მოემბა პოდპოლკოვნიკის წოდება შემდეგი დახასიათებით: „ბრძოლის დღეს ისწრაფოდა ყველაზე სახიფათო ადგილებსაკენ“.

კუტუშოვის შესახებ მაშინვე მოხსენდა მთავარსარდალს ნ. რუმიანცევს. ყველა მოელოდა, რომ კუტუშოვი იღბლიანი გამოდგებოდა და მალე მიიღებდა რაიმე მაღალ თანამდებობას. მაგრამ სწორედ აქ მოხდა მოულოდნელი რამ.

იმ წლებში კუტუშოვი ძალზე მხიარული იყო, ემარჯვებოდა სხვების დაცინვა და გაქირდვა; ისტატურად ბაძავდა სხვების სიარულს, გამოთქმასა და ამა თუ იმ თანდაყოლილ ჩვეულებას. იგი აგრეთვე დიდი მოყვარული იყო ახლო ნაცნობების გამოაჯვრებისა. ამხანაგების წრეში თვით რუმიანცევსაც კი გამოაჯვრებდა ხოლმე.

სწორედ ეს შეიტყო რუმიანცევმა და მეტისმეტად მხიარული პოდპოლკოვნიკი კუტუშოვი, ნაცვლად დაწინაურებისა, მოულოდნელად გადაიყვანა დნებრზე, სადაც საომარი მოქმედება არ იყო და სადაც, მამასადამე, არც თავის გამოჩენა შეიძლებოდა.

მაშინ კუტუშოვმა ითხოვა ყირიმში გადაყვანა და მუსინ-პუშკინის რაზმში ჩარიცხვა. იქ, იმ ხანებში მაინც ხდებოდა მტერთან ადგილობრივი მნიშვნელობის შეტაკებები.

1774 წლის 22 ივლისს, ძველი სტილით, ყირიმის ნაპირებს უტახებდად მოადგა თურქების ესკადრა, რომელმაც ალუშტის მახლობლად გადმოსხა გაძლიერებული დესანტი.

თურქებმა, როგორც კი დაიკავეს ალუშტა და სოფელი შუმი, მაშინვე დაიწყეს ჩაიტირადიდან უღელტეხილსაკენ წაწევა. ამით მათ მიზნად ჰქონდათ დასახული, უღელტეხილის ხელში ჩაგდების შემდეგ, თავიანთ კონტროლის ქვეშ მოექციათ მთელი სამხრეთ ყირიმი — ალუშტიდან სუდაკამდე.

მუსინ-პუშკინის რაზმი, რომელშიც რაიმე გარკვეული თანამდებობის გარეშე ირიცხებოდა ახლად გადმოყვანილი პოდპოლკოვნიკი კუტუშოვი, იმ დროს იდგა უღელტეხილის ჩრდილოეთ ფერდობებზე — სიმფეროპოლის ახლოს.

როგორც კი რაზმისათვის ცნობილი გახდა თურქების დესანტის გადმოსხმისა და მისი მოძრაობის ამბავი, რაზმის რამდენიმე ასეული მაშინვე სასწრაფოდ გაგზავნილ იქნა მტერთან შესაგებებლად. კუტუშოვიც ამ რაზმში იმყოფებოდა.

რუსები რომ შეამჩნიეს, თურქები ამოფარნენ სახლების კედლებს და მაშინვე შეუდგნენ ხის ძელებსაგან დაბრკოლებათა გაკეთებას. მათ რომ საათი ან საათნახევარი დასცლოდათ, შუმს ძლიერ გამაგრებულ კენძად გადააქცევდნენ. მდგომარეობა ისე ვითარდებოდა, რომ საჭირო იყო სისწრაფე და გადაწყვეტი მოქმედება, სხვანაირად რუსებს დამარცხება ელოდათ. სწორედ ეს გათვალისწინა კუტუშოვმა, ხელი დასტაცა ბატალიონის დროშას და გაიჭრა წინ ძახილით:

— მტრის შესაშუსრად, მომყვებით!..

ჭარისკაცებმა ერთსულოვნად აიტაცეს მეთაურის მოწოდება და სწრაფად გაყვეს.

კუტუშოვმა და მისმა ჭარისკაცებმა გადაჭრეს ნაკადული და პირდაპირ დაეშენნ თავვეე გაუქვალავ დაქანებულ ფერდობებზე, რათა შეხვედროდნენ უღელტეხილისაკენ მომავალ თურქთა მეწინავე რაზმებს.

ერთ-ერთ ფერდობზე კუტუშოვს ტყვია მოხვდა მარცხენა საფეთქლის არეში და გავიდა მარჯვენა თვალთან.

მაგრამ კუტუშოვის პირადმა მაგალითმა უკვე გაავითა თავისი საქმე. მისი ხელიდან დავარდნილი დროშა სხვებმა აიტაცეს და იგრილა კიდეც მძლავრმა „ურამ“. ბატალიონი ელვისებური სისწრაფით გაიჭრა სოფელში და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა თურქებს. თურქები განდევნილ იქნენ სახლებიდან, გარბოდნენ ისინი ალუშტისაკენ თავიანთი სადესანტო ხომალდების ცეცხლითი დაცვის საფარით.

ამ დროს კი სისხლში მოსვრილი, გრძნობადაკარგული პოდპოლკოვნიკი კუტუშოვი დააწვინეს შინელზე და ასე აიყვანეს ზევით, ვიწრო ბილიკით, წყაროს მიმართულებით, იმ იმედით, რომ საღმე წააწყდებოდნენ სანიტარულ პუნქტს და კრილობას შეუხვედნენ.

სხვათა შორის, არაინ მოელოდა, რომ კუტუშოვი თუნდაც შეზინდებამდე გასძლებდა. მისი ჭრილობა უღარესად მძიმე და მეტად საშიში იყო. ასეთი საშინელი ჭრილობის მკურნალობა იმ დროს ექიმებს ჭერ კიდეც არ შეეძლოთ. კუტუშოვი დააწვინეს წყაროსთან სანიტარული საზიდის ან სამომ საფლავის მოლოდინში, რომელიც უკვე გაეჭრა იქვე გვერდით, წყაროსთან სულ ახლოს. ყველას განსაცვიფრებლად კუტუშოვი გონს მოვიდა, მოიხედა, და წარმოიდგინეთ, ითხოვა კიდეც — გადაეყვანათ სიმფეროპოლში. ასეც მოხდა. სიმფეროპოლის ლაზარეთში კუტუშოვი მნიშვნელოვნად გამოკეთდა და გამოჯანსაღდა. ბევრი ამ შემთხვევას „სასწაულს“ უწოდებდა. ახალგაზრდა კუტუშოვის „სასწაულებრივი“ გადარჩენის ამბავმა, რასაც თავგანწირული გმირობის თანხად თვლიდნენ, იმპერატორ ეკატერინემდე მიადწია.

მაშინვე გაიცა ბრძანება დაჭრილი კუტუშოვის პეტერბურგში გადაყვანისა და მკურნალობის თაობაზე. პეტერბურგში ჩაყვანისთანავე კუტუშოვი დაჯილდოებულ იქნა გიორგის ჯვრით, რის შემდეგ იგი გაგზავნეს ვეროპაში საბოლოო მკურნალობისათვის.

ვეროპაში უკვე იცოდნენ ახალგაზრდა რუსი ოფიცრის არაჩვეულებრივი დაჭრის ამბავი. მიხეილ კუტუშოვმა მკურნალობის შემდეგ მოიარა გერმანია, ინგლისი, პოლანდია და იტალია; მან ამ ქვეყნებში მოგზაურობა გამოიყენა თავის სამხედრო განათლების შესავსებად. სამშობლოში დაბრუნდა იგი ისეთი დიდი გამოცდილებით, რომ 1779 წელს კვლავ მიიღო დანიშნულება ყირიმში — ამჯერად უკვე სუვოროვის თანაშემწის პოსტზე.

და აი, სწორედ მაშინ მიეცა კუტუშოვის შესაძლებლობა კვლავ ეხილა სოფელი შუმი, მოენახულეხია ნაბრძოლი ადგილები და ის წყარო, რომლის ახლოს იგი მძიმედ დაჭრილი ოდესდაც სიკვდილს ელოდა. მან ამ წყაროს მახლობლად დარგო ალვის ხე. ამ ალვის ხით იცნეს 75 წლის შემდეგ ის ადგილი და იქ ჭერ აღმართეს ხის ბოძი წარწერით, შემდეგ კი მოაპირკეთეს წყარო კირქვის ფილებით და გაუკეთეს წარწერა, რომელმაც ჩვენს დღეებამდე მოადწია.

ყურადღებით მოვისმინეთ უფროს ლეიტენანტ პეტრე ილინის ეს სანიტარული საუბარი სახელოვან კუტუშოვის შადრევანთან და შემდეგ განვავრძეთ გზა ალუშტისაკენ, სადაც უნდა შეხვედროდით მწერალ სერგეევ-ცენსკის.

ეს ამბავი იმ ხანებში მოხდა, როცა ჩვენი პარტი-  
ზანული რაზმი ბელორუსიის ტყეებში იმყოფებოდა.

დადღლილ-დაქანტულები სოფელ ორლიანკას მახ-  
ლობლად დაგზავნიდით.

ეს სოფელი წინა წელს აიკლეს ჰიტლერელებმა,  
როცა გაიგეს, რომ მის ახლო მიდამოებში პარტი-  
ზანები იმალებოდნენ. მცხოვრებთა ერთი ნაწილი  
უმოწყალოდ ამოხოცეს, შორისუნარიან ქალებს  
კი გერმანიაში, კატორღულ სამუშაოზე უკრეს თავი.  
თითო-ორი მოსახლე როგორღაც გადაურჩა  
მტერს, სოფელს დაუბრუნდა და კერაზე კვლავ აან-  
თო ცეცხლი.

გადარჩენილ მცხოვრებთ ჩვენი გამოჩენა შეუმ-  
ჩნველი არ დარჩენიათ. პარტიზანების დანახვაზე  
მიწურიდან გამოძვრენ ბავშვები და ყოყინით ჩვენ-  
კენ გამოიქცნენ. ერთმა ქორთა ბიჭუნამ ხმაძალა  
დაიყვირა:

— დედა! ჩვენები მზვიდნენ...

მებრძოლთა უმრავლესობა წვეკრამოშვებული იყო,  
წითელი ლენტებით მორთული ფაფახები ეხურათ,  
გულმკერდი საეზენებით ჰქონდათ მოჭედული.

ექვსი წლის ქერა ბიჭუნა მომიახლოვდა.

— ბიძია, რამდენი ტყვიანა ამაში? — ავტომატზე  
დაადო პატარა ხელი.

— სამოცდაათერთმეტი.

ბიჭმა ახლა სათადარიგო დისკებს დაადო თითი:

— აქაც იმდენია? — მკითხა და ჩემი ჩანთა მოი-  
ფათურა. მერე შემომხედა და მკითხა:

— ჩანთაში პური რატომ არა გაქვთ? ალბათ გში-  
ათ, არა? —

— არა, ბიჭუნი, წყლან ვისაუხმეთ, — ვიცრუე  
მე. მიგხვდი, ბავშვს თურმე ტყვიის დისკები არ  
აინტერესებდა.

ბიჭები ვანზე გადგნენ, დიდბივით ბჭობდნენ რა-  
ღაცაზე, ნადარეველ დაბრძენებულ, ომის წლების  
ბავშვები.

მერე სადღაც წავიდნენ. უკან რომ მობრუნდნენ,  
ერთს ჰკავის პური ეჭირა ხელში, მეორეს ქოთნით  
რძე მოეტანა, მესამეს კომბოსტოს ფოთოლზე კარა-  
ქის ნაჭერი ეღო.

ბავშვების მოსაკითხისათვის ხელი არ გვიხლია,  
ნაძვის ხის ძირში დაჭრილი პარტიზანები ისხდნენ.  
პატარებს ვუთხარი, იმათ მიუტანეთ-მეთქი.

ვაზაფხული იყო, ახალგაფოთილი ხეები ფარავ-  
დნენ პატარ-პატარა მიწურებს, ტყის პირას სოკო-  
ებივით რომ ჩამწკრივებულყვენენ.

რომელიღაც მიწურიდან ქალის ხმა მოისმა, ვი-  
ლაცას ეძახდა. ბიჭებმა ხმა მიაწყვდინეს, აქა ვართო;  
სულ მალე მოგვიახლოვდა ახალგაზრდა ქალი და  
ბავშვებს შორის ჩადგა. ჰრელი თავსაფარი ეხურა.  
ჭარისკაცის ჩექმები ეცვა.

— ქოხში წამობრძანდით, ბუღა მაქვს მოხარ-  
შული, — ისე ლაპარაკობდა ქალი, გეგონება ჩურ-  
ჩულესო. მადლოდა ვუთხარი, მაგრამ ქალმა ხელი  
მომიკიდა და თავისი კარის ზღურბლამდე მიმიყვანა.  
შესასვლელს საწვიმარი ლაბადა ჰქონდა ჩამოფარე-  
ბული.

— ორი თვეა, მარილი თვალთ არ გვიხნავს, —  
მოიბოდიშა ქალმა, — მე ჩვენს პარტიზანს, მიშა  
პოვიტელს გაეძახე: ჩვენს ფურგუნში ჰკავის ფქვი-  
ლი და მარილია, წამოიღე-მეთქი.

— ახლავე, ამხანაგო პოლიტხელო! — მიბასუხა  
მიშამ, ჩვენსკენ წამოვიდა და ქალს მიმართა: —  
ჩემო დაო, მარილისა და ფქვილისათვის რაიმე ჰურ-  
ჭელი გამატანე.

ქალმა ქოხში შეიბრძინა და პატარა ტომრები გა-  
მოიტანა.

მიშა სულ მალე დაბრუნდა და პატარა თეთრი  
ტომრებით ფქვილი და მარილი მოიტანა, ფქვილით  
სავსე ტომარა ამანათის ტილოსაგან იყო შეკერილი,  
ზედ ლურჯი ქიმიური ფანქრით რაღაც ეწერა. მო-

ულოდნელად ქართული გვარი — ანანიაშვილი ამო-  
ვიკითხე. ქალმა გაოცება შემატყო და მკითხა:

— თქვენ ქართველი ხომ არა ხართ?

თავი დავუქნიე.

ქალს ჯერ სისხარულმა გაუბრწყინა სახე, მერე კი  
ტირლი დაიწყო. ბოლოს მოიბოდიშა და წინარად  
თქვა:

— მიირთვით, ბუღა გაცივდება!

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე პოვიტელმა  
ჰკითხა ქალს:

— ბრესტიდან ხართ?

— დიახ!

— მეც ვატყობდი, ჯომ აქაური არა ხართ, მე  
ხომ ყველას ვიცნობდი ორლიანკის მოსახლეთაგან, —  
მიშამ გადაბუგულ ნასოფლარს თვალი მოავლო.

— კიდევ არის აქ ვინმე თქვენთან ერთად წამო-  
სული?

— არა, ამ სოფლამდე მარტო მე მოვადღეე: ეპ,  
არ მავიწყდება ის შავბელი ღამე. ჰიტლერელებმა  
ბომბები რომ დაგვავარეს, ჩემი მეუღლე და ქარ-  
თველი ლეიტენანტი ანანიაშვილი თავიანთი პოლი-  
საკენ გაეშურნენ. ერთი კი გადმოგვძახეს, — ბე-  
შვებს მოუარეთო, — მეტი ვერაფერი მოასწრეს.  
მას შემდეგ არაფერი ისმის მათი. ანანიაშვილის ოჯა-  
ხი ჩვენს ვეგრდით ცხოვრობდა, ერთი კედელი  
გვეყოფდა, ლეიტენანტის ცოლს მარო ერქვა. მე და  
იმან ბავშვებით ბრესტის სადგურისაკენ გავეით.  
მატარებელი, რომლითაც უნდა წამოვსულიყავით,  
მტრის თვითმფრინავებმა დაბომბეს. მე ცოცხალ-  
მკვდარი გამომიყვანეს ჯარისკაცებმა ვაგონიდან, სა-  
ზიღარზე დამსვენეს და კობრინისაკენ გამამგზავრეს.  
რა დემართა მაროს, ვეღარ შევტყუე. აქ, ორლიან-  
კაში შევჩერდით. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა.

ვუსმენდი გატანჯულ ქალს, ხანდახან ბავშვებს  
გადახედავდი, რომელნიც იქვე იდგნენ და მარილს  
ისე ლოკავდნენ, თითქოს შაქარყინულიაო.

# უჩივლები

მცირე ხნის შემდეგ ჩვენი რაზმი ტყის ნაძირს  
გაჰყვა და კოველისაკენ გაემარბა. რკინიგზა გადავ-  
ჭერით. შარავნაზე რომ გავედით, უკრაინის ტერი-  
ტორია დაიწყო. ის იყო სოფელში შევდიოდით,  
ცხენოსანი მზვერავი დაგვეწია, მან რაზმის მეთა-  
ურს გრეზნოვს მოახსენა, რომ თურმე ორლიანკა-  
დან ჩვენი წამოსვლის შემდეგ რამდენიმე საათიც  
არ იყო გასული, რომ სოფელში ესესელთა ბატა-  
ლიონი შეიჭრა; ფაშისტები ხუტორს დასეოდნენ,  
უღმერთოდ ამოწყვიტეთ ყველა, ვინც გზაში შეხ-  
ვედროდათ. გადარჩენილებს ტყისათვის შეეფარე-  
ბინათ თავი.

ნუთუ ეს უნდა შევარჩინოთ?! გამოგზრუნდით და  
მზვერავს გაყვევით. ბრესტისაკენ მიმავალ მთავარ  
გზაზე გამოვედით. რაზმი ასეულეზად დაიწყო. ბრძა-  
ნება გაიცა ბუჩქებში შევმალულიყავით.

— აუცილებლად აქ უნდა გამოიარონ, — თქვა  
რაზმის მეთაურმა გრეზნოვმა, — ეს ხომ ბრესტ-კო-  
ველის გზაა!

ბინდუნდში შარავნა თეთრად გამოიყურებოდა.  
და ის იყო, მოტორების გუგუნე შემოგვეცნა.  
რამდენიმე წამი, და გამოჩნდნენ მანქანები.

— გაიხედე, მთელი კოლონაა! — დაიძახა რო-  
მელიღაც პარტიზანმა.

სულ მალე ცეცხლით შევეგებეთ მტერს. გაჩაღდა  
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბოლოს მიხილ  
გურაშვილის ასეულმა მტერს ზურგიდან მოუარა  
და ერთი ტყვიამფრქვევით დარჩენილი გერმანელე-  
ბის უმრავლესობა გაანადგურა. გერმანელების ნა-  
წილი ტყვედ ჩავიგდეთ.

ჩვენებიდან სამი მძიმედ დაიჭრა, ერთი, ადგი-  
ლობრივი მზვერავი ბელორუსი ხივნიაცი, მო-  
კლეს.

ტყვეების დაკითხვას რომ ვაწარმოებდით, ერთ  
გერმანელ ლეიტენანტს ძალგან შექმნდა ჰეტირათა-  
ვი, თვალები ზოროტად უეღვალდა.

— სად ისწავლეთ რუსული, ასე გამართულად  
რომ ლაპარაკობთ? — შეეკითხა შტაბის უფროსი  
გულიევი.

— სადღაც ვისწავლე! — ადგილულად უბასუხა  
ლეიტენანტმა.

— საით მიდიოდით მანქანებით?

— ოპერაციებზე ვიყავით გუშინ და წუხელ კობ-  
რინში დავრჩით.

— აა... მაშ თქვენ იყავით ორლიანკაში?

— ჩვენ ვიყავით.

— მერე გუშინ რატომ არ დაბრუნდით ბრეს-  
ტში?

— დაგვიღამდა და კობრინში შევიარეთ.

საბუთები გავუსინჯეთ. გერმანელმა ყველაფერი  
ბალახზე დაყარა: ვალტერის სისტემის პისტოლეტი,  
შოშველი ქალების სურათები, რაღაც ჩანაწერები,  
გერმანული მარკები და პირადობის მოწმობა. თა-  
ვის საბუთებს ამრეზილი დასცქეროდა, — ბოლოს  
დაიჩვილა — უსათვალოდ დაგჩიო.

რაზმი ნოვოსელკის ტყისაკენ დაიძრა. დაჭრილე-  
ბი ფორანთ მიგვყავდა. ცხენებს უჭირდათ ტყის  
ბილიოზე სიარული. ტყვე გერმანელები პირველ  
ასეულს ჰყავდა ჩაბარებულნი. ისინი ნელი ნაბიჯით  
მიჰყვებოდნენ ფორანს.

— აგერ ორლიანკა! — დაიძახა ვილცამ.

სოფელში რომ შევედით, საზარელი სანახაობა  
დაგვიხვდა თვალწინ. აქაურობა ერთიანად გაპარა-  
ხებული იყო.

მოხუცი ქალი გვიყვებოდა:

— არც დიდი დინდეს და არც პატარა, არც კა-

ცი და არც ქალი. ანიას ბავშვები აღარსად ჩანან...  
ვეძებთ და ვერ გვობოვნი.

ანია ის ჩვენი ნაცნობი ქალი იყო.

მოხუცი ქალი პირჯვარს იწერდა და ღან წყევ-  
ლა-კრულვას უგზავნიდა გერმანელებს. უცებ ტყვე-  
ები შენიშნა და შეჰყვირა:

— ამო აქ რა უნდათ, ამ ამოსაწყვეტლებს?! აი,  
იმ ოფიცერმა აგვაწიოკა გუშინ ეგ იყო... ანია, მო-  
დ აქეთ, აგერ შენი შვილების მკვლელები!  
თმაგაწილი ანია ჩვენსკენ მოდიოდა და შეშლი-  
ლივით ბუტბუტებდა:

— შვილებო, შვილებო, სადა ხართ, სად დამეკარ-  
გეთ?!

მებრძოლებმა ტირიფის გრძელი ტოტი გათალეს,  
ზედ კაუჭი გაუკეთეს და ჰაში ჩაუშვეს. ტოტი რა-  
ღაც რბილ, მძიმე საგანს მოედო. როცა ზევით ამოს-  
წიეს, ყველას საზარელი ოხვრა ამოხდა:

— ბავშვი!

ქორთა ბიჭუნა იყო, ჩვენი ნაცნობი.

ის ბიჭი, აქ მოსვლის უმალ რომ მოგვეგება, წინა  
დღეს, პარტიზანების დანახვისთანავე რომ დაფა-  
ცურდა — ეშვიებო და პური ვუშოვნოთო.

შემადრწუნებელი სანახაობა იყო: ესენა მიწაზე  
ეს პატარა ბიჭი, და იქვე იდგა მისი მკვლელები, ესე-  
სელი ოფიცერი, თვალსაც კი არ არიდებდა გვამს,  
თითქოს აქ სულაც არაფერი მომხდარიყო.


იქვე იდგა მწუხარებისაგან შეშლილი დედა.

ეს მართლაც შემადრწუნებელი სანახაობა იყო.

შალვა კობიაშვილი



# გვერდ აჭარის ტყეებში



შუახვევიდან ხულოსკენ გზა ხულო უფრო ხვეული და თავბრუდამხვევი ხდება. ხშირად კლდეში გაჭრილი, იგი ძველთაძველი და ვიწროა. გზა ჯერ ისევ რევოლუციამდე გაუჭრიათ, და იმ დროს, აუტანელი სიძნელეებით ქანცამოღეულ მუშებს, ერთხანს თავიცი მიუწუნებიათ მისთვის. მერე ისევ განახლებულა სამუშაოები, რომ საფოსტო ეტლებისათვის ვარგისი გზა გაეყვანათ. თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს გზის ადრინდელი მასშტაბები და ახლა აქ ტრაქტორები და ბულდოზერები ამბობენ თავის სიტყვას.

გოდერძის უღელტეხილი... ეს ის თავშესაყარია, საიდანაც კარგ ამინდში შეგიძლია გადახედო აჭარას, გურიას, მესხეთს. ხელისგულივით ჩანს ყველაფერი... აქ შიშის მადლიანი სასიცოცხლო ძალაც უფრო სხივუვანია, ჰაერი — შეუღარებლად სუფთა, წყაროები — ზეცისფერი და კამკამა, ხოლო შიშის ნაირფერ სპექტრში გარდატეხილი ალბური ყვავილების ხალიჩის ფერების სიკაშკაშე მატისის შთამბეჭდავ ფერწერულ ტილოებს მოგვაგონებს. აქედან ხულო რამდენიმე კილომეტრზეა მთის შესანიშნავი კურორტი ბეშუმი — მშრომელთა ჯანმრთელობის კერა, რომელსაც ბრწყინვალე პერსპექტივა აქვს. ბეშუმი გვხვდება ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებიც; რომლებიც ჩვენი შორეული წინაპრების მაღალ კულტურაზე მეტყველებენ. აქ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერმუშაკის ალექსანდრე დავითაძის განმარტებით, ხშირად წააწყდებით 2.000 წლის წინანდელი ცხოვრების დღემდე შემონახულ ნიმუშებს — ნახსლარებს, გზებს, სამლოცველოს, საკულტო დანიშნულების საგნებს კერპების გამოსახულებით და ა. შ. ვინ იცის, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მომავალში აქ წარმართული ეპოქის რაოდენ საინტერესო ძეგლები გამოვლინდება.

ბეშუმის ახლოს მდებარეობს მინიატურული, მაგრამ განუმეორებელი სილამაზის „მწვანე ტბა“. რუხ კლდეებსა და ტყის მწვანე სამოსში ჩამქდარი ეს მთის მზეუნახავი რაღაც საოცარი ძალით გიზიდავთ. ბუნების სიკეთეთა მთელი ეს მძივი ლამაზი ყელსაბამივით მოხვევია აქაურობას. ხულოს რაიონი ამაყობს თავისი ბუნებრივი სიმდიდრითა და სილამაზით — ტყეებით, მსუყე იალაღებით, სათესებით, სათიბებით.

ამიტომ, გასაგებია, რომ ხულოს სატყეო მეურნეობის დირექტორს ნოდარ ბოლქვაძეს პასუხისმგებლობაც დიდი აქირია. ნოდართან ერთად ადგილობრივი სატყეო მეურნეობის თითქმის ყველა მთავარი უბანი მოვარე — ფხვით, ცხენით თუ ტრანსპორტით. შევცქეროდი ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცს საქმეში, თუ სტუმართმოყვარე აჭარულ სუფრაზე, ოჯახში თუ ბუნების წიაღში და ვფიქრობდი, რომ ალბათ ასეთ ადამიანებზე უთქვამთ ძველ ლათინებს თავიანთი ფრთიანი ფრანკა — ჩანსად სხეულში ჩანსადი სული დასო.

ტერიტორიულად საკმაოდ დაქაჩულია ნოდარის სამუშაო ობიექტი, მაგრამ მისი ხელი ყველგან სწვდება — სანერგებს, ეროზირებულ ადგილებს, ორ სახერს ქარხანას, ტყის კულტურების გაშენებას... და რაც დღეს აქ ნოდარ პირველ პრობლემად გადაქცეულა — ლაფნიჭამის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

ძვირფასი წიწვანი ქიშებით შემოკობილ აჭარის ამ მაღალმთიან რაიონებს უკვე რამდენიმე წელიწადია შეესია აღმოსავლური ნაძვის დაუძინებელი მტერი — დიდი ლაფნიჭამია. იგი აქ 1968 წელს ადიგენის რაიონიდან შემოვიდა. მის წინააღმდეგ ბრძოლა პატრიოტული ხასიათის მოძრაობად გადაიქცა. მეურნეობის კოლექტივმა ხომ პირდაპირ ქულზე კაცი გამოიყვანა. ქართველი მეცნიერები დღეს იმედის თვალით შესცქერიან ლაფნიჭამიას გამანადგურებელს — დიდ რიზოფაგუსს. მისი ლაბორატორიული მომრავლება ამჟამად ხულოს სატყეო მეურნეობაშიც ხდება. მეურნეობის მუშაკები მანებლის წინააღმდეგ კლდე ერთ კარგ ღონისძიებას ატარებენ — დენდროქტონის ინტენსიურად დასახლების რაიონებში, როგორც საკურორტო მცენარეს, მასობრივად ახარებენ ფიჭვს, რათა დაზიანებულ ნაძვს საიმედო ცვლა ბქონდეს. მეტყველები განსაკუთრებული სიფხიზლით იცავენ ბეშუმსა და მის მიდამოებს. კურორტის შემოგარენი მინიმალურადაც არ უნდა შეზღუდოს მანვე მწერმა.

ფართო ფრონტით ეწევა მეურნეობა საქმიანობას — ზეგნის, ხიხაძეებისა და ხულო-ღორჯომის სატყეოებში სანერგეები მოწყობილია 0,25 ჰექტარზე. ტარდება ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები. შოშავლისათვის გათვალისწინებულია ტყის კულტურების გაშენება 70 ჰექტარზე, სანერგეების მოწყობა — 0,8 ჰექტარზე, ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები — 2.000 ჰექტარზე; ამას გარდა, აქ გადაწყვეტილი აქვთ კალმახების მომრავლება მწვანე ტბაში.

ტყის დაცვის მუშაკები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამჟამად მოსახლეობის შეგნების დონე — ეს განსაკუთრებით ხანძრის საშიშროებასთან ბრძოლაში გამოიხატება. ასევე გულდასმით ასრულებენ მთავრობის დადგე-

ნილებებს ფლორისა და ფაუნის დაცვის საკითხებზე. მაგრამ ამ მხრივ არის ხარვეზებიც; კერძოდ, ეს შესაძინებია სეზონური სახლების მშენებლობის დროს; არის ტყის უნებართვო ჭრების შემთხვევებიც, კოლმეურნეობებზე აქამდე ვერ იფიქრებენ რაიონში არსებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებს, ხშირად სჭირან მოზარდ ბუნებს, როდესაც სახერს ქარხნებში დაზიანებული და ბებერი ხეებიდან დამზადებული მასალებითაც შეუძლიათ იოლად გაეიდნენ.

ნოდარ ბოლქვაძეს ბეჭითი და გულმოდგინე შრომით საქმეს უადვილებენ მისი მოადგილე — ნიკოლოზ ცხვარაძე, სატყეო უფროსები — ელგუჯა ბასილაძე, ოთარ იშხნელიძე, ტყისმცველები — ყარაღა შაინიძე, ოსმან ვანაძე, ხსა კახაძე და სხვები.

აჭარის სატყეო მეურნეობათა საქმიანობის ყველა ძაფი თავს იყრის ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე, სადაც აჭარის სატყეო კომიტეტი მოთავსებულია. აქ შესანიშნავი სპეციალისტები უძღვებიან საქმეს, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ხალხის ამ უძვირფასეს საგანძურს — ტყეს, მოუარონ ისე, როგორც წესი და რიგია, როგორც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. — აჭარის ტერიტორიაზე, — გვითხრა კომიტეტის თავმჯდომარემ, შესანიშნავმა ორგანიზატორმა პავლე გამციემლიძემ, — მთელი ფართობის 61 პროცენტი — 185 ათასი ჰექტარი, ტყეს უჭირავს. აქედან 90 პროცენტზე მეტი პირველი ჯგუფის მთის ტყეებია. უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში აჭარის სატყეო მეურნეობებმა ეროზირებულ და სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის გამოუყენებელ ფართობებზე გააშენეს 1.822 ჰექტარი ტყე, ტყის ბუნებრივი განახლების სამუშაოები განხორციელეს 20.880 ჰექტარზე.

საქვეყნოდა ცნობილია კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი შვიდი ათასი ჰექტარი ფართობით. აქ შემონახულია კოლხური ფლორის ნიმუშები: ბზა, უთხოვარი, წაბლი და სხვა, ნაკრძალში ბინადრობენ შველი, არჩვი, ჭიხვი, გარეული ღორი და ა. შ. ქობულეთის სატყეო მეურნეობაში 450 ჰექტარ ფართობზე მოეწყო სპეციალური სამონადირეო მეურნეობა, სადაც გაშვებულია და მომრავლდა ტყის მრავალი ძვირფასი ნადირი თუ ფრინველი...

\* \* \*

მთელი თვე ვიარე აქაურ ტყეებში. კეთილი სურვილებით დავშორდი სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს. ახლა ბათუმ-ხულოს გზაზე ავტომობილი თავდალმა მიმაქანებს და თავის თავთან მარტო დარჩენილი სიამოვნებით ვფიქრობ, რომ ამ ხნის განმავლობაში ზემო აჭარის არა მხოლოდ ტყე და ტყის სპეციალისტები გავიცანი, არამედ საერთოდ, საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, აქაური მკვიდრნი, — კეთილნი, უაღრესად გულთბილნი, დაუღალავად რომ იღვწიან საქვეყნო საქმისათვის. ვისხენებ სრულიად სხვადასხვა ხფეროში მომუშავე ადგილობრივი ინტელიგენციის ახალგაზრდულ ენთუზიაზმს, მათ კოლეგიურობას, ერთმანეთისადმი უანგარო დახმარებას ყოველფხვის ნაბიჯზე. შეუძლებელია მუდამ ღრმა პატივისცემის გრძნობით არ გაიხსნეო ისინი, მათ შორის ნოდარ აბულაძე, ხულოს რაიკომის მდივანი, გოდერძის უღელტეხილზე მივლინებულ ბათუმელ შურნალისტთა დიდ ჯგუფს რომ მასპინძლობდა; ვახტანგ ბერიძე, დამსახურებული პედაგოგი, შუახვევის განათლების განყოფილების გამგე, ბევრი წარჩინებული სპეციალისტის აღმზრდელი; უსუფ ზოიძე — მსახიობი, აჭარის დამსახურებული არტისტი; ალექსანდრე დავითაძე — მეცნიერ მუშაკი, ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გულმოდგინე მკვლევარი; დემურ ქათამაძე — სოფელ ჭვანას საშუალო სკოლის პედაგოგი; როსტომ აბულაძე — სპორტის ოსტატი და მრავალი სხვა. ეს ის ადამიანები არიან, ვინც დღემუდამ, განუწყვეტლად ზრუნავს საქვეყნო საქმისათვის, ჩვენი კულტურის აყვავებისათვის და მთელ მათს მუშაობას პატრიოტიზმის მაღალი და კეთილშობილური გრძნობა წარმართავს.

ბათუმის პლაჟზე ზღვაური ნაზად ეალერსება თერთი კენჭებით მოფენილ მიდამოს. ეს ზღაპრული კუთხეა, აღსავსე განსაკუთრებული მომხიბვლელით. ერთი დღის სავალზე აქ ნახავთ წელიწადის ღრულიად მკვეთრად გამოხატულ ოთხ დროს. აქ იგრძნობთ ზღვის სტიქიონის რომანტიკას, უსიერი ტყეების ეპიკურ სურათებსა და ოქროსფერად მოხიბნიე ყანებს, მაღალმთის განუმეორებელ რელიეფს, თივის ზვინებით შეფენილ ხეობებს, უნაწეის ღირიკით სავსე პეიზაჟს; აქ სულერთია, ხართ მუსიკოსი, თუ არა, დახუტეთ თვალები და უსმინეთ ბუნების მიერ შეთხზულ ჯაღონსურ მელოდიას. ალირი-სიანი, მდიდარი ბუნება განუმეორებელ ზანგებს ბადებს — იქნება ეს ტყეში ცელქად მოთამაშე ნიავი, თუ ნაპირებისაკენ წამოსული ზღვაური...

ჭეშმარიტად ამოუწურავია მშვენიერება აქაური ბუნებისა, და ადამიანებიც აქ ასევე მიმზიდველი არიან — მათთან გატარებულ წუთებს ვერასოდეს დაივიწყებ.

არსულად გამგაჟორი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

\* დასასრული იხ. „დროშა“, № 2.

# საოცსაჟიროსი გაზაფხული



სამოდ სუნთქავს გაზაფხული ჩვენს დედაქალაქში. ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას მტკიცე ნაბიჯების ხმა არღვევს. ქუჩაში მიდის ქალაქი კაცი. უამთა სიმრავლით დათოვლილი თმები შერწყმია ნუშის ყვავილების ფერთა ელვარებას.

მაიბიჯებს ქუჩაში საქვეყნოდ ცნობილი ავადმყოფი. გაზაფხულია, მაგრამ მაინც ღლის წელთა სიმძიმე და ზოგჯერ სუნთქვაც უჭირს. ხუმრობა ხომ არ არის, იგი სამოცდამეთორმეტე წელიწადს ეგებება.

ქართველმა საზოგადოებრივმა უდიდესი სიბოძო და სიყვარული გამოამყვანა მის საიუბილეო საღამოებზე. მოვიდა მოსალოცი დეკემბერი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებიდან, საზღვარგარეთელ ქართველოლოგთაგან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ იუბილარი დიდი ენათმეცნიერია, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი მეთაურთაგანი და მთის კავკასიურ ენათა ისტორიულ-შეღარებითი შესწავლის დამფუძნებელი, მრავალი მონოგრაფიის ავტორი, რვატომეული ქართული განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატრიო დოქტორი და დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, მაგრამ ის რომ საოცრად ადამიანური ადამიანია, ამის შესახებ შეღარებით ცოტა ითქვა, რადგანაც, სამწუხაროდ, ოფიციალური ფორმა არ იძლეოდა მეტის საშუალებას.

მასსოვს, მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით. გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში. პირველი სემესტრი თავდებოდა და ჩვენც უკანასკნელი ლექცია უნდა მოგვესმინა. რაღაც გაურკვეველი განწყობილება დაგვეუფლა, გული გმწყდებოდა — გვინდოდა ეს სათავყვანებელი კაცი მუდამ ჩვენი ლექტორი ყოფილიყო. უნდა გამოგირტყდეთ, გამოცდისაც გვეშინოდა. ძალიან ვღელავდით. კიდევ უფრო მეტად გავოცდით, როცა მასწავლებელმა შინ მიგვიწვია. მეორე დღეს ჩვენ ლექტორის საშუაო კაბინეტში ვიყავით. იქვე მოვისმინეთ შემაჯამებელი ლექცია... მასწავლებელი ცოტა ხნით გარეთ გავიდა. იქვე, წიგნებით საესე მრგვალ მაგიდაზე თვალი მოგკარით ნაშრომს, რომელსაც უკვე კარგად ვიცნობდით; რადგანაც წინა წელს გამოცდა გვქონდა ჩაბარებული იმ საგანში. მიუხედავად ამისა, მაინც ვაღაფშაღეთ, და ვინ მოთვლის, რამდენი სიტბო ვიკრძენით იმ წუთებში აი, რა ეწერა თავფურცელზე: „ბატონ არნოლდს; ამ წიგნის არსებობისათვის. ავტორისაგან“. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ გამოკვლევის ავტორი თავის დროზე ჩვენი ლექტორის ასპირანტი იყო, დღეს კი სახელგანთქმული პროფესორია. დიახ, ყველა მისი აღზრდილი უდიდესი სიამოვნების გრძნობით გაიმეორებდა ამ სიტყვებს!

ამას წინათ პროფესორმა ეგვენი ჭიჩიანიშვილმა გვიამბო: „— 1942 წლის გვიანი შემოდგომა იყო. მე მაშინ ასპირანტი ვახლდით. ხელმძღვანელს მორიგი კონსულტაცია უნდა ჩაეტარებინა. მისი ზედმიწევნითი პუნქტუალობა ყველა-სათვის ცნობილია და მეც, რასაკვირველია, დანიშნულ დროზე გამოვცხადდი მასთან. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გოცება — იგი შინ არ დამიხვდა. ვიზიარ ხელმძღვანელის სამუშაო ოთახში და მოთმინებით ვუცდი მის გამოჩენას... გადის დრო — საათი, საათნახევარი... გარეთ ცივა, ჰქეპა-ქუხილია, ფანჯრებს ლა-წა-ლუწი გააქვს. თუ არ შეეძლო დამხვედროდა, რატომ დამიხვარა? — ვფიქრობდი მე. როგორც იქნა, გაისმა ზარის წკრიალი. მას შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი მასწავლებელი — მაღალყელიანი ფეხსაცმლებით, ბრუნტის ლაბადაში გახვეული; მას ილიაში რაღაც ცოცხის მაგარი ბალახები ეჭირა. დასველებული და გატალახიანებული, ხველებ-ხველებით შემოვიდა დერეფანში.

— ის... ის... აქ არის? — მომესმა მე.  
— ჰო, ეგვენი ჭერაც აქაა, შენ გელოდებოდა, — იყო პასუხი.  
— კარგია რომ მოთმინების უნარი ჰქონია, — ჩილაპარაკა მან.  
ცოტა ხანით და სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ხელმძღვანელი ძველბურთი აყურატობით შემოვიდა კაბინეტში. მას ისევ ახველებდა.  
— გაცივებულხარ — შევკარგე მე.  
— გავაკეთე ის, რასაც ვეპირებოდი. გუშინ თქვენი დის მკურნალი ექიმი ვნახე (იმხანად ჩემი და მძიმე ავადმყოფი იყო. არც მედიკამენტები იშოვებოდა და მატერიალურადაც ხელმოკლე ვცხოვრობდით). მან მიჩრია, მდნარე ვერის ხეობაში ერთი ჭივის ბალახი იზრდება, თავის სამკურნალო თვისებებს იგი განსაკუთრებით ეფექტურად ნაწვიმარზე ამჟღავნებსო. აი, ეს ბალახიც! მონახარეთ იგი ამ ფხვნილთან ერთად (და ჯიბიდან ამოიღო რაღაც წამალი, სამწუხაროდ, მისი სახელწოდება აღარ მახსოვს), ნაყენი ავადმყოფს დღეში სამჯერ დაალევიეთ.

სახტად დავჩრჩი. აღარ ვიცოდი, როგორ მოვეცეპულიყავი. იგი დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე. მისთვის ახლა აუცილებელი იყო დასვენება, მაგრამ მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ უსათუოდ ჩაატარებდა კონსულტაციას, ამიტომ იძულებული ვავხდი მეცრუა (ანალოგიური შემთხვევებისთვის იურისპრუდენციაში სპეციალური ტერმინიც კი არსებობს — „ნათელი ტყუილი“).

— თუ შეიძლება ხვალისთვის გადავდოთ კონსულტაცია, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, — ძლივს გაუბეღე მეთქვა.

ხელმძღვანელმა დაკვირვებით შემთავალიერა. ვერ გაუძეული მის მზერას და თავი ჩავლუნე. რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა:

— კარგით... უკვე გვიანაა, დაღამდა კიდევ, გარეთ საშინელი ამინდია, ფრთხილად იარეთ, არ გაცივდეთ.

კი არ მივიღოდი, მივფრინავდი შინისკენ. სულმოუთქმელად მოვეუყევი ჩვენებს ყველაფერი და ფუთა გავხსენი. მასში ბალახებთან ერთად მანდარინი და სამასი მანეთი ილო...

მეორე დღეს დავურკე ხელმძღვანელს საკონსულტაციო საათის შესათანხმებლად. მან მოუტელეობა მომიხეზა და ახლა თვითონვე გადამიდო მეცადინეობა. როგორც მოგვიანებით ვავიგე, იგი სამკურნალო ბალახის ძებნისას გაცივებულიყო და მთელი კვირის მანძილზე დიდი სიცხე ჰქონოდა. საოცრია, რომ მას ამის შესახებ ჩემთვის არასოდეს, არც მაშინ და არც მეორე არაფერი უთქვამს...

დიახ, ერთი შეხედვით თითქოს უბრალოზე უბრალო ამბავია, მაგრამ ამადღევნებელი... მთავარი ის კი არ არის, რომ ეს ჩემს დას ეხებოდა, აქ არსებითია ადამიანური კეთილშობილება, დაუზარებლობა, გულითადობა, სულის სიფაქიზე იმ კაცისა, რომელიც თავისი შუბლშეკრული გარეგნობით შესაძლოა არც კი ტოვებდეს ასეთ შთაბეჭდილებას. ზოგჯერ გარეშე პირებს იგი მხოლოდ მეცნიერული აზრებით დახუნძლულ ადამიანად მიაჩნიათ. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მისი სიკეთე არასოდეს არ არის ზედაპირული — სხვათა დასახანავად გამიზნული, მის ამოცნობას გულის სიღრმე უჭირდება...“

გასაოცრია ამ ადამიანის ენერჯია როცა არ უნდა ესტუმროთ, ყოველთვის საწერ მაგიდას უზის, წერს, და კითხულობს: ძალიან ბევრს, ფიქრობს, — უფრო მეტს. ხან შეიკუმხნის წარბებს, ხანაც ნათელი გადაეფინება სახეზე და ასე მიდის წლები.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, მაშინ როდესაც ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაებებიც კი ისვენებენ, მას გვიანობამდე ნახავთ ავადმყოფში.

საკონფერენციო თუ სადისერტაციო ნაშრომებს იგი კითხულობს ძალიან სწრაფად (დრო მკაცრად არის განსაზღვრული, ორი დღიდან სამ კვირამდე); აქ-იქ თუ გაუსვამს ხაზს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა უხვირო სტილს შეინიშნავს; არასოდეს არ წაშლის არც ერთ დებულებას, მაგრამ საკამათო ადგილებს ხმამაღლა წაიკითხავს და იმსჯელებს ავტორთან ერთად.

იგი გეპაქტება სიამოვნებით, როგორც თანატოლს. მასთან საუბრისას წამლილია ყოველგვარი ასაკობრივი ზღვარი. დასვამს რამდენიმე საკითხს, მაგრამ ბოლომდე როდი მიიყვანს, რადგანაც უდიდესი სურვილი აქვს შეეხმიანოს მის ჩანაფიქრს. მოგიბრუნდება და გეტყვის: აბა, რა კითხვა შეიძლება გაჩნდესო ამ პრობლემასთან დაკავშირებით? თუ სწორად გაუგე და ამოხსენი ის, რაც მას უნდა ეთქვა, აღფრთოვანდება. რა გინდ ახალგაზრდაც არ უნდა იყო, ყველაფერს გთხოვს მთელი სიმკაცრით, პრინციპულად, რაც უნებურად გინერგავს უდიდეს რწმენას საკუთარი შინაგანი ძალებისადმი, განიჭებს დამოუკიდებლობას და ქვეშევსეული სიამაყის გრძნობებით გივსებს გულს.

„ჩემი მასწავლებლის კეთილშობილურ მზრუნველობასა და ამამალებელ ზნეობრივ გავლენას მე განვიცდი არა მარტო როგორც ენათმეცნიერი, არამედ როგორც მოქალაქე“ — აღნიშნულია ნოდარ ანდლელუაძის წიგნში „კლასიკონი და პიროვანი უღვლილების ზოგი საკითხი“.

...„ლარნაკიდან მომაჯადოებელი სურნელება იფრქვევა. შიგ სამოცდათორმეტი მიხაკი დევს. მეწამულისფერად ღვივიან ეს ნაზი ყვავილები. ნეტა მათ მეტყველების უნარი ჰქონდეთ!

რას იტყოდნენ? ბევრს, ძალიან ბევრს. ასობით მაღლიერი ადამიანის, მისი აღზრდილების გულისთქმას ვაგვიმხელდნენ.

მადლობას ეტყოდნენ ამ ქალაქის კაცს, დიდი ილიას პრესბიტერ რომ მიბიჯებდა.

ეს კაცი არნოლდ ჩიქობავა გახლავთ.

იზა ჩანტლაქი,  
ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი.

უცნობი დამაშავე ცდილობდა გაეტეხა ინჟინერ თინა კიკნაველიძის ბინა. შემთხვევის ადგილზე მისულ გამოძიებელს სულამეს და ოპერაწმუნებულს ბურდულს კიკნაველიძის ბინაში რამდენიმე სტუმარი დახვდათ. არც მასპინძელმა და არც სტუმრებმა არ იცოდნენ, რომ ბოროტმოქმედი ბინაში შესვლას ცდილობდა. კრიმინალისტებს სტუმრები არ მოეწონათ, საეჭვო პიროვნებებად მიიჩნიეს ისინი და მათი დაშლის ხანს, სადარბაზო შესასვლელის მახლობლად, სათვალთვალად გაჩერდნენ. ერთ-ერთი სტუმარი, დიასახლისის მეგობარი შალვა ქლიბიძე სხვა სტუმრებს დაშორდა და კუთხეში შეუხვია; ორი წუთის შემდეგ მას დანა დაჰკრეს. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. კრიმინალისტებს ეჭვი აქვთ ან ორ ახალგაზრდაზე, რომელთაც მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ქუჩაში ჩაიარეს, ან უცნობზე, რომელიც ქუჩის იმავე კუთხეში დაყენებული ტაქსით გაიქცა.

გამომძიებელმა სულამემ სასწრაფოდ დაურეკა ავტომატიდან ქალიშის მორიგეს და სთხოვა დაეკავებინათ „ვოლგის“ მარკის ყველა ტაქსი ჩუღურეთის აღმართის ახლოს; შემდეგ ყურმილი დაკიდა და სირბილით მოხარუნდა შემთხვევის ადგილზე.

ოპერაწმუნებულები ის იყო გამოვიდა შესახვევიდან, საითაც წელან ნაბიჯების ხმას გაჰყვა.

— ვერ მიეწიე? — ჰკითხა სულამემ.

— ვერა, პატივცემულო უფროსო! ქვეითა მხარეს გამასწრეს.

სულამე დაზარალებულთან მივიდა. მას დახმარება აღარ სჭირდებოდა. თოვლი მის გარშემო წითელ ჭყაპად ქცეულიყო. გამოძიებელმა ფრთხილად დაასვენა სხეული ისე, როგორც იყო, ოღონდ შეეცადა, ფრთხილად და სიციცხლეგამოცდილ სახეს თოვლი არ შეხებოდა.

სულამე ომში ნაშეფი არ იყო, სიკვდილი არც ისე ხშირად ენახა და ახლა ნერვული აგზნებისაგან ტანში აურიალებდა. დაზარალებულის ნაკეთები, სულამე რომ უკვე მესამედ ხედავდა ამ ერთი საღამოს მანძილზე, უცებ გაუცხოვებულყოფი, თითქოს შიგნიდან დაცარიელდა, და ამ კონტრასტმა თავისი მოულოდნელობით მეტი შთაბეჭდილება მოახდინა გამოძიებელზე, ვიდრე სისხლის დანახვამ. რამდენიმე წამს მან უხმოდ უყურა გვამს, მერე გამოერკვა და თითქოს როგორღაც მოეშვა.

— ფრთხილად, გივი, ნაკვალევს ფეხი არ დაადგა! — სულამემ მიხედ-მოხედა შემთხვევის ადგილს და იქ დააკვირდა, სადაც თოვლს მანქანის კვალი ჰქვევდა. — ხედავ, მანქანის საბურავები მოცვეთილია. აფსუს, რომ თოვსი სანამ ფოტოაპარატს მოიტანენ, კვალს თოვლი წაშლის.

— აგე იმ ბიჭების ნაფხურები, პატივცემულო უფროსო!

ჩხუბის ადგილიდან, სადაც თოვლი გატყეპნილი იყო, მარჯვნივ, შესახვევისაკენ ორი ნაფხური აღიოდა. ერთი ისევე გვამთან ბრუნდებოდა, მეორე კი შესახვევში შედიოდა; ცხადია, დაზარალებული და მისი მხლებელი რომ თავქვე მოდიოდნენ, ბიჭები აქ ღობესთან, ალბათ საჭიროებისთვის მიმდგარიყვნენ. ტაქსსაც ეგებ იმითმ არ დაუძახეს. მაგრამ ნუთუ პირველმა ბიჭმა სირბილიში მოიქცინა დანა და დაზარალებულმა კიდევ თხოთმეტიოდენ ნაბიჯი გაიარა? არა, ეს შეუძლებელი იყო. ასე დაჭრილი კაცი ამ მანძილს ვეღარ გაივლიდა. გარდა ამისა, ნაბიჯი არეული არ იყო და მის აქეთ-იქით სისხლის კვალიც არ ჩანდა.

— პატივცემულო უფროსო! აგე, კიდევ კვალი... ქუჩაში, იქით, სადაც ადრე მანქანა იდგა, სხვა, სულ მოკლე კვალი ჩანდა. იგი წედ საბურავების კვალთან იწყებოდა, ათიოდ მეტრით წევით აღი-

# გაგოქიანის შალვა

საქართველო  
ბიზლიროთიკა

## ნოღარ სხირალი

ოღა ცოტა ათხრილ ადგილამდე, თითქოს ვიღაცა დაკუსულა და თოვლში ხელები უფათურებიაო, მერე მკვლელობის ადგილამდე მიდიოდა და ისევე საბურავების კვალთან ბრუნდებოდა. სულამემ და გივიმ ერთდროულად ჩაიხუხულეს და ახალი ფიქრისაგან უკვე შეღახულ კვალს ჩააცვირდნენ. კვალი სქელძირა, რეზინისა ან ვიბრამის ლანჩიანი მაღალ-ყელიანი ფეხსაცმელისა იყო. გარშემო საშუაის ფოთლის ოდენა ჭდეები ჰქონდა შემოვლებული, შუაში კი კარგა დიდზე ამოწეული ჭვრები ეტყობოდა. მარჯვენა ქუსლი რაღაც მჭრელი საგნით იყო გახრილი.

— კვალი მანქანაში მარჯვენა მხრიდან შედის. მაშ, თუ მკვლეელი ეხა, შოფრის გვერდზე, ან უკან მჯდარა და შოფრის იარაღის შიშით აჩერებდა, მაგრამ მაშინ რატომ არ გაიქცა შოფერი, როცა მკვლეელი მანქანიდან გადმოვიდა? — სულამე ფრთხილად ჩაუყვა კვალს და მის აქეთ-იქით თოვლი მე-თოდურად, სანტიმეტრის სანტიმეტრზე მიყოლებით ჩაათვალიერა. ღობესთან, სადაც კვალი ცოტა მრუდდებოდა, გამოძიებელმა ფეხის წვერებზე აიწია და ეწოში გადაიხედა.

— აგერი აქ არის! კედელზე მიმაგრებულ ნათურის ქვეშ, თხელსა და გლუვ თოვლზე დანა ეგდო. სულამემ ჭიშკარი გამოაღო და ეწოში შევიდა. მან დანა ფრთხილად გახვია ქაღალდში და მისი ნაგებები ადგილის გარშემო თოვლი ფეხით მოჩხრიკა. თოვლის ქვეშ ასფალტი იყო და წედ ქვანახშირის წიღის ნარჩენები ეყარა.

— ხედავ? აქ ნახშირის ნაშვსს ყრიან, მაგრამ დღეს ან გულში აუხვეტიათ. ამ დანასაც ხვალ დილით წიდას დააყრიდნენ. მაშ მკვლელს ეს ეწო სცოდნია!

ამ დროს კუთხის იქით აჩქარებული, თოვლისაგან დაყრუბული ნაბიჯების ხმა მოისმა. ვიღაც ქალი დაღმართში ჩამოდიოდა. გამოძიებელი და ოპერაწმუნებულები ეწოდან გამოვიდნენ და ღობის ჩრდილს შეეფარნენ.

კუთხეში ქალმა თითქმის სირბილით შეიოხვია. — გიგონ, თინა კიკნაველიძეა, — ჩუად თქვა სულამემ.

თინა თავშიშველი იყო. ფეხზე მხოლოდ ტუფლი ეცვა. შავი ქურჭი გახსნილი ჰქონდა. გამოძიებელი რომ დაინახა, ქალი შეჩერდა. არეულ სახეზე თავდაპირველი გაღიზიების ცდა გამოეხსნა.

— ხმა გგონი აქედან ისმოდა, ამ ქუჩიდან, — ქალმა იქვე დაგდებული სხეული რომ დაინახა, შეტრწუნებულმა იკივლა: — შალვა! ვაიმე, შენი ჭირიმე!.. მაინც მოგკლეს ამ მხეცებმა! ამ უსინდისობებმა! ვიცოდი, მაინც მოგკლავდნენ!

ქალს უნდოდა, გვამზე დამხობილიყო, მაგრამ სულამემ ხელით შეაჩერა.

— უკაცრავად, ქალბატონო! ახლოს ნუ მიხვალთ. მკვლელობის სურათს დაარღვევთ.

ქალმა ჩაიჩოქა, ისე რომ გახსნილი ქურჭი თოვლზე გაეშალა და სახე გვამთან ახლოს მიიტანა. გამოძიებელმა ერთხანს მოთქმა და სლუკუნის აცაღა, მერე კვლავ ხმის ამოღება გახედა.

— გვაპატიეთ, ქალბატონო. ვინ გყავთ მხედველობაში, როცა მკვლელებზე ლაპარაკობთ?

თინამ თავი ასწია და გამოძიებელს წამით თითქმის უგონო თვალები გაუსწორა.

— შალვა, შე უბედურო, გატანჯული, შენი ჭირიმე! — მერე კვლავ ჩაიკცა და თუმცა ხელით შეხება არ უცდია, მოკლეულის პალტოს შუბლი გაუსვა.

— ქალბატონო! ვისზე ბრძანებთ, რომ თქვენი მეგობრის მოკვლა სურდა? — გაუმეორა სულამემ.

ქალი, ეტყობა, მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ და თავი სუსტად გადაიქნია.

— არავისზე, ღმერთო ჩემო, არავისზე! — წაიჩურჩულა მან ძლივს გასაგონად და სახე ხელებში ჩარგო.

სულამემ მხარზე ხელი მოჰკიდა.

— თქვენს მეგობარს მტრები ჰყავდა?

ქალმა ახლად შეიგნო ნათლად, რას ეკითხებოდნენ, და სულამეს აზრიანად, სრული ყურადღებით შეტყებდა. ტურები ჭიუტად მოეკუმა და სახემ ჩაკეტილი, შეუვალი გამომეტყველება მიიღო.

— არ ვიცი, — წარმოთქვა მან მოკლედ და, თოვლში ჩარჩოქილმა, პირი იქით იბრუნა, რომ სახე სულამის თვალისთვის მოერიდებინა.

კუთხეში მილიციის მანქანა გამოჩნდა.

## თავი მესამე

შემთხვევის ადგილზე კიდევ ერთი ნივთი აღმოჩნდა. ეს იყო პარაფინის ფილის ოდენა ვერცხლისფერი საგანი, რომელსაც ლათინური ასოებით ეწერა „სლალომ ექსტრა“ და ემბლემასავით თავქვე დაქანებული მოთხილამურე ჰქონდა ამოტვიფრული. წედ ისე მკაფიოდ ეტყობოდა თითების წანავლები — ერთ მხარეს ცერისა, მეორე მხარეს — სალოკი და შუა თითისა, რომ უბრალო მაგიდის ნათურის შუქზეც კი გარკვევით ჩანდა.

— სათხილამურო საცხისს ჰგავს. მაგრამ მე ასეთი საცხისი არ მიწახავს, — საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა ვერცხლისფერი საგანი მაგადანე დადო. იგი სულამეზე ათიოდ წლით უმცროსი იყო, მაგრამ გამოძიებელი მის წინ მაინც ფეხზე იდგა, — სხვა ნივთმტკიცება რა გვაქვს კიდევ?

— აი ეს დანა, თბილისური წარმოების, — სულამემ დანა გაუწოდა, — ტარზე თითის ანაბეჭდები წაშლილია. როგორც ჩანს, შეგნებულად. ანალიზით დადგენილია, რომ დანაზე შემხმარი სისხლი მოკლეულის ეკუთვნის..


— ბიჭების დამაშავებობას გამოიციხავთ? სულამემ მხრები აიჩჩია.

— რა ვიცით, გახედავდნენ? ხომ გვწახეს, იქ ახლოს რომ ვიდექით.

— სხვა სტუმრები სად იქნებოდნენ მკვლელობის დროს?

— ერთმა, არჩილ ალაგიძემ ყვირილი გაიგონა ქუჩის ბოლოში. მაშინვე მობრუნდა და დაინახა, რომ ხეზე მოკიდებული კაცი ტორტმანებს, კუთხეში კი მანქანა უხვევს. მაგრამ ახლოს ვერ მივიდა შიშით, სანამ მილიციის მანქანა არ დაინახა. ის

\* გაგრძელება. იხ. „დროშა“ № 3.



ცოლ-ქმარიც ალავექსთან ერთად იყვნენ, ყვირილი რომ გაიგონეს. მაგრამ უკან აღარ მობრუნებულან. მთავარ ქუჩაზე მანქანა დაიჭირეს და ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ სახლში იყვნენ. იქიდან ქალმა მორიგეს დაურეკა.

— ზმ. ქმარმა რა ქნა, ჩვენებს არაფერი დაუმატა?

— ის მორიგეს არ დალაპარაკებია. პირიქით, ცოლი რომ ელაპარაკებოდა, ტელეფონთან ქმრის მოყვანაც სთხოვეს, მაგრამ ოთახში არ აღმოჩნდა. შესაძლოა, არც იცის, რომ ცოლმა დაგვირეკა.

უფროსი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

— რა მოხდებოდა, როგორა თქვით?

— პროფესორია. დირექტორის მოადგილეა ინსტიტუტის ფილიალში, სადაც დაზარალებული მუშაობდა. სხვები ზოგი ინჟინერია, ტრესტის მმართველი... ხოლო მოკლეული, შალვა ქლიბიძე უფროს კომენდანტად იყო იმავე ფილიალში. რეპრესირებულია, სასჯელმთავროში შორეულ გადასახლების ადგილებში.

— საინტერესოა — უფროსი წამით ჩაფიქრდა. — დაქტილოსკოპია გააკეთებინეთ უკვე?

— დიახ, ორივე ანაბეჭდის. საცხისზე და გატეხილი ბინის კარზეზე. ანაბეჭდები ერთმანეთს ემთხვევა.

— როგორ, როგორ? — უფროსი სკამზე შეწრიდა.

— კედლის გატეხის ცდა და მკვლელობა ერთი კაცის საქმეა, — სულაძემ რამდენიმე წამს შეიცადა, რომ უფროსისთვის ამ ფაქტის შეფასების შესაძლებლობა მიეცა, — მანქანა იქ განგებ იდგა. მკვლელობა იცოდა, ქლიბიძე სად იყო და წინასწარი განზრახვით დარჩაობდა.

უფროსი წამოგადა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ეგებ, ვარდოსანიძემაც იცოდა, რომ მკვლელობა უნდა მოხდეს? იმიტომ დროზე მოერიდა. ან ალავექე უკან ამბის გასაგებად დაბრუნდა რა ჰქონდათ ამ ხალხს საერთო უფროს კომენდანტთან?

სულაძემ კვლავ მხრები აჩიჩა.

— ახლა ოთხრა, — თქვა უფროსმა, — მე დავრეკავ, საღამოს ნამუშევარი ტაქსები გარაუბრიდან არ გამოუშვან. თქვენ ჭერჭერობით ის ბიჭები მოძებნეთ.

\* \* \*

ბურღულმა ზედღეოდ დაჰკითხა ბინის პატრონები ჩუღურეთის ზედა ნაწილში და გათენების ხანს ერთ-ერთი წუხანდელი ბიჭი დახურული მანქანით მილიციის მიიყვანა.

— პატივცემულო უფროსო, ჩუღურეთში წუხედ ცამეტ ოჯახში იყო პურმარალი. აქედან ახალგაზრდა, გვარად ჭაყელი, სტუმრად იყო ერთ ოჯახში.

— კარგი, — გააჩერა გამომძიებელმა, — შემოიყვანე, აბა შევხედოთ ერთი, რა კაცია.

ბიჭი მოშლილი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში და კარების ახლოს დადგა, სადაც მისმა მომყოფელმა მილიციელმა გაჩერება აწესა. სახით უკმაყოფილო უფროსი ჩანდა, ვიდრე დამფრთხალი და თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა.

— დაბრძანდი! — ირონიულად უთხრა სულაძემ. ბიჭის გამომწვევი და თითქოს ნახსენისარი სკეპტიკური გამომეტყველების დანახვამ მას წელანდელი ბრაზი გაუცხოველდა. ბიჭი დაჭდა. მან სულაძე ვერ იცნო და, თითქოს არც მინცდაშინიც იტებდა თავს, რაზე იყო აქ მოყვანილი. გამომძიებელი მას თავს დაადგა.

— მაშ ტაქსზე რიგი ზედმეტია, ზა? — სულაძე ხმას თანდათანობით უწევდა. — შეგიძლია, სადაც გინდა გააჩერო, ვისაც გინდა, წინ გაუსწრო. ქალაქი თბილისი შენი ყოფილა!

ბიჭი ინსტინქტურად მოიკუნტა, თითქოს ელოდა, რომ ხელით შეეხებოდა, მაგრამ მალე კვლავ თავს დაეუფლა.

— გისმენთ, პატივცემულო, — თქვა თავდაჭერი-თა და, თითქოს, წყენითაც, რომელშიც „მოთმინე-

ბის“ დაჩაგრულ პოზსთან ერთად ოდნავ შესამჩნევი ირონიც გამოხატვიოდა.

— ახლა კი მომიხმენ, სხვა რა გზა გაქვს — სულაძემ კილოს კვლავ ჩვეულებრივ დონემდე დაუწია, — ადრე გესმინა ვინმესი, კაი იყო! წუხედ იყავი წვეულებამდე მახვილადის ოჯახში?

— ვიყავი, — წამიერი ყოყმანის შემდეგ უპასუხა ბიჭმა.

— ვინ იყო იქ შენს გარდა?

— არ ვიცი. მასპინძელს ჰკითხეთ.

— მასპინძელს ვკითხეთ და შენ დაგასახელა. მილიცია რომ დაინახა, პირველი შენ გაახსენდი ვისთან ერთად წამოგვინდა სახლში?

— არავისთან, მარტო ვიყავი.

— ეჰ, უკვე ტყუი! — სულაძემ თავი სინანულით გადაიქნია, — კუთხესთან რომ გაიარე, მეგობარი გახლდა, რომელმაც შენი სახელი იცოდა. „ჭაყოლი“, იმან არ დაგიძახა?

— უცნობი იყო. ქუჩაში შემხვდა და სიგარეტი ვთხოვე, — იცრუა ბიჭმა.

— რომელი მსახიობი ან სპორტსმენი შენა ხარ, რომ შენი გვარი სცოდნოდა? — სულაძემ ათვალწუნებით აზომა თვალთ ბიჭი, რომელიც გულჩათხრობილი სდუმდა და ფრჩხილით მაგიდის კუთხეს აწვალებდა, — შენისთანა რამდენია... ქვა რომ სამჭერ გადააგდო, ორჭერ შენისთანა მოხვდებოდა კარგი, მაგას მასპინძელი გვეტყვის, ვისთან ერთად წამოხვედი. ერთი ეს მოთხარი: იმ კაცს, კუთხეში რომ ხულიგნურად ლაპარაკი დაუწყეთ, ტაქსი რომ წაართვით, რა გეგონათ: ორნი რომ იყავით, ეს ქვეყანა თქვენი იყო?

— ჩვენ არაფერი არ წაგვირთმევია. პირიქით, იმან წაგვართვა, — ბიჭი უცებ გამოცოცხლდა, — ჩვენ ზემოდან ჩამოვდით. ვხედავთ, მანქანა დგას. შორიდან ტაქსს მივამსგავსეთ, დავუძახეთ „ტაქსი, ტაქსი“, ამ დროს მერე მხრიდან ის კაცი გადმოვიდა. ვითომ ჩვენ არც ვიყავით იქ, ხელი აუწია და დაუძახა.

— მაშ ტაქსი რომ იყო, ვერ გაარჩიეთ? ბიჭი დაფიქრდა.

— არ მახსოვს. მანქანა ჩრდილში იდგა. კი ჰგავდა რაღაც კუდარას, მაგრამ რატომ „ტაქსი“ დავუძახეთ და არ დავუსტვინეთ, ეს არ ვიცი.

— თუ დაინახეთ, შიგ შოფრის გარდა იყო ვინმე? სულაძე ახლა ბიჭის პირდაპირ იჭდა მაგიდასთან და მის სახეს, ფხიველ, თითქოს ჩასაფრებულ თვალს არ აშორებდა.

— ეს არ დაგვინახავს. შიგ სინათლე არ იყო. ჩანდა მხოლოდ, რომ „ვოლგა“ და მწვანე შუქი არ უნთია.

— კარგი, თქვენ დაუძახეთ „ტაქსი“, და ამ დროს ის უცნობი მალალი კაცი გამოგვეკვინათ?

— მალალი არ იყო, შუატანზე ცოტა მეტი იყო, — გაუსწრო ბიჭმა.

— თმაშეცემილი, რუხი კეპით, კისერზე კაშნე ჰქონდა...

— დიახ, ეგ იყო.

— გამოგვეკვინათ და ტაქსისაკენ წავიდა.

— კი, ტაქსისაკენ წავიდა ნელი ნაბიჯით; თან ჩვენ შემოგვხვდა — ვითომ, მომცილდნენ, თუ ჭერ არაო.

— როგორ შეატყვეთ, ტაქსისტი უცდიდა?

— არ ვიცი. ტაქსში არავინ არ განძრეულა. ისიც არ დაგვინახავს, შოფერი იყო თუ არა.

— წავიდა ტაქსისკენ და თქვენ გზა გადაუჭირეთ. უთხარით: „აბა, ბიძა, ჩვენი რიგია. არ მოხვიდე, თორემ ყოფას გიტყობთ“?

— „თორემ“ არ გვეთქვამს, — როგორც კი საქმე თავის მართლებას შეეხებოდა, ბიჭის კილოში უცხო, თითქოს ვიღაცის წანაბაძი ინტონაციები ჩნდებოდა, — პირიქით, წარდებობიანად მივმართეთ. ვუთხარით, რომ ჩვენ ადრე მოვიდით.

— „შენობით“ ხომ მიმართეთ?

— კი, იმიტომ, რომ ძალიან გულზე იყო. ჩვენ მოვდიოდით, ეგ საიდანაც გვერდიდან გამოხტა.

რატომ? რისთვის? ვიღაცამ თავზე რატომ უნდა გადაგვადურთხოს?

სულაძემ ოდნავ ამოიოხრა, მაგრამ ამ თემას დროებით თავი ანება.

— მერე? იმან წინააღმდეგობა გაგიწიათ — და ჩხუბი მოხდა?

— გავიწია კი არა, გამიწია. მე მარტო გადავუდექი ეგრე და ხელი მოვიკიდე.

— მერე იმან რა ქნა?

ბიჭმა სულაძეს თვალი მოარიდა.

— მოკლდე, უნდოდა, რაც გინდა მომხდარიყო, წინ წასულეო!

— აბა სახე მაჩვენე! — სულაძემ ბიჭს სახეზე ხელი მოჰკიდა და სინათლისაკენ შეატრიალა. ბიჭს ღოყები ალაგ-ალაგ დაბეჭდილით ჰქონდა. ეტყობოდა, ვიღაცის მაგარ ხელს ყბებში ჩაევლო. — მერე, იმან ესე პირზე ხელი მოვიკიდა?

— ზო, პირქუშად და თითქოს მოზოლაშებით უპასუხა ბიჭმა, — მე არ მოვცილოდი, უცებ ესე ხელი ჩამავლო. მე მოვუქნე, მაგრამ ვერ გავართყი. სახეზე ხელი ვერ გავაშვებინე.

— დაწას ახსენებდა ვიღაცა. შენ იყავი თუ შენი ამხანაგი?

— მე ვიყავი.

— დანა იხმარე?

— არა, ვერ ვიხმარე, — ბიჭი თავდახრილი ლაპარაკობდა, ეტყობოდა, მარცხის სიმწარე ჭერაც მონელებული არ ჰქონდა, — დანა ავიდე თუ არა, ხელში წიხლი მომარტყა და გამაგდებინა.

— ისე, გინდოდა გეხმარა? — სულაძე გრძნობდა, გაბრაზებისაგან რომ თვალები მოეჭუტა, მაგრამ კვლავ თავი დაიჭირა.

— რა შექნა, ძალიან გამოიჭირა. ისე ვეჭირე ხელით, ტკივილისგან თვალს ვერ ვახედი.

— გეგონა, მოკვლას გიპირებდა?

— არა, არ მკლავდა, მაგრამ ძალიან მომიჭირა. მერე იმისი ბოღმა მომკლავდა.

— და შენც არჩიე, დანა გეხმარა, ვიდრე ბოღმას მოეკალი, არა? დანაც ჭიბუში იმიტომ ჩაიდე წინდაწინ, რომ ბოღმის ჩატოვებას კაცისკვლა გირჩევნია — ბიჭი დუმდა. — მაშ დანა ფეხით გაგაგდებინა და შორს გადაისროლა?

— დიახ. ხუთ-ექვს მეტრზე. — უპასუხა ბიჭმა.

— ზევით, აღმართისაკენ?

— უფრო ცოტა მარჯვნივ, — მე პირი ქვემოთკენ მქონდა.

— აბა, მაჩვენე როგორ იყო! აი, ეს დანა, — სულაძემ ბიჭს საქალაღდე დანა მიაწოდა და მთელი მონათხრობი, დანის ამოღებითა და მოქნევით დაწყებული, თვალნათლივ შეასრულებინა, — იმან ამ დროს ფეხი მოგარტყა, ალბათ, მარჯვენა — და დანა ეგრე გაფრინდა!

ბიჭმა თავი დაუქნია.

— კარგი, გეყოფა. ეგ დანა აქეთ მომეცი, — სულაძე დაჭდა, — ახლა მითხარი, დანა რომ გაგაგდებინდა, მერე როგორ მოიქეცი?

— მერე წავიდე, — ბიჭი კვლავ გაფითრებული იყო და თუმცა დაკითხვის ყველაზე სახიფათო ეპიზოდი დაშთავდა, იგი კვლავ ქვეშ-ქვეშ იყურებოდა, თითქოს რაღაცას მკვლიდა.

— ნელა, ნაბიჯით? თუ ცოტა სირბილით?

— კარგად არ მახსოვს. მივბრუნდი და ცოტაზე კიდევ გამოგვეკიდა. შესახვევამდე მოგვეყვა, — უხალისოდ უპასუხა ბიჭმა.

— შენ ამხანაგს ცივი იარაღი არ ჰქონდა?

— არა, არ ჰქონია.

— აკი გუშინ პირველად ნახე?! მაშ თქვენ ჩაუხვიეთ ეწოებით და იმან თავი დაგანებათ. მერე რა მოხდა?

— მერე ატყდა ყვირილი, სტენა. ჩვენც დანა გვექონდა დაგდებული, არ შეიძლებოდა, არ გვექცეულიყავით.

— ამხანაგი შენთან იყო ამ დროს? ბიჭი შეყოყმანდა, თითქოს კვლავ საჩოთირო რაღაც გასამხელს მიადგა.

— არა, უფრო ზემოთ დავშორდით. მე ეზოდან გავედი. იმან, არ ვიცი, როგორ შეუხვია.

— ის დიდი ღრიალი რომ იყო, სად გაიგონე?

— მაშინ ქვემოთ ვიყავი, — ბიჭმა ფრთხილად გააპარა თვალი გამომძიებლის სახისაკენ და მის დარცხენილ გამოხედვაში უცხად ხარბმა, თავდაუშეკრებლად ცნობისმოყვარეობამ იფეთქა. — რა? იმან ის მეორე ბიჭი დაჭრა? — იქითხა სწრაფად. სულამდე მას გრძელი დუმილით უპასუხა. თან ბიჭის ნერვიულად მოკვნიტულ ტურქებსა და სინდისის ქენჭისაგან გაფითრებულ სახეს მშვიდად აკვირდებოდა.

— არა. იმას არავინ არ დაუჭრია, — თქვა ბოლოს, — ის თვითონ მოკლეს, ნახევარი წუთის შემდეგ დანით, რომელიც შენ დაგივარდა.

— რა?.. მოკლეს?.. — ბიჭს სახე მიწისფერი გაუხვდა და შუბლზე ოფლმა დაასხა. გამომძიებელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის უდანაშაულო იყო.

გამომძიებელმა დარეკა. მილიციელი შემოვიდა.

— წაიყვანეთ! — უბრძანა სულამდე.

\* \* \*

ერთი საათის შემდეგ სულამდე კვლავ საგამომძიებლო ნაწილის უფროსის კაბინეტში იდგა.

— ჩაუვლი და გძელიძე, ერთი სახლის მცხოვრებნი, ერთად არიან შეჩვენული ხულიგნობაზე, — სულამდე ორივე ბიჭის სწრაფი უფროსს წინ დაუწყა. — ჩვენებები ემორბევა ყველაფერში, რაც შეტაკებას შეეხება. ოღონდ გძელიძე არ ახსენებს დანას, თითქოს ჩაუვლს მხოლოდ ხელი ეხმაროს. ანაბეჭდები საცხისზე არც ერთს არ ეუთვნის. ამავე დროს, უეჭველია, რომ საცხისი მკვლელობის დროსაა დავარდნილი ან დაგდებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თოვლი დაფარავდა, დანის დარტყმა ორია — ორივე პროფესიონალური და შესრულებული მარცხენა ხელით. ეჭვმიტანილი ჩაუვლი კი ცაცია არ არის და შემოწმებით ირკვევა, რომ დანის ხმარება არ იცის. გარდა ამისა, ეჭვმიტანილთა ჩვენების თანახმად, მოკლული ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო და დანის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკას ფლობდა. ჩვენი დასკვნით, ეჭვმიტანილები ჩაუვლი და გძელიძე სამართალში მისაცემი არიან ცივი იარაღის ხმარების მკვლელობისათვის, მაგრამ მკვლელები ისინი არ არიან. მკვლელობა ჩადენილია მათი გაქცევის შემდეგ, ვიდაცის მიერ, მანქანიდან რომ გადმოვიდა და მათი დაგდებული დანა აიღო.

უფროსმა ბიჭების ფოტოები მაღე გვერდზე გადასწავა და კვლავ დაზარალებულის ნაირნაირი და სხვადასხვა დროს გადაღებული სურათების გადინებულ ასლებს დაცქერდა, რომლებიც მაგიდაზე ჰქონდა გაშლილი. ყველა სურათიდან მას მოკრეფილი, გაუცინარი, თითქოსდა საგანგებოდ დოკუმენტისთვის გადაღებული სახე შემოაყურებდა.

— რაო, საოჯახო, შინაურული სურათი არ დარჩა? — უფროსმა ფოტოები მოხვება და სათამაშო კარტივით ხელში დაიჭირა, — მაგის ბინა ნახეთ უკვე?

— ოჯახთან გაყრილია, ამხანაგო უფროსო. მაგის სურათს სახლში არ ინახავენ. ბინა ცალკე აქვს, ისიც ვნახეთ. ეტყობა, რომ იქ ცხოვრობს. თინა კიკნაველიძის ბინაზე კი, როგორც ჩანს, მაინცდამაინც ხშირად არ რჩება.

— კიკნაველიძისთან, ეტყობა, უფრო საქმე აქვს შირბებს, — უფროსი დაიჭრა, — დაზარალებულის გამარცხვა არ უცდიათ. მას მკვლეელი დაზარალებულს ელოდა.

— შეიძლება, ქლიბიძემ შემთხვევით შეიხედა მანქანაში და ისეთი რამ დაინახა, რომ მანქანაში მყოფებმა უმალ გადაწყვიტეს, მისი ცოცხლად დატოვება აღარ შეიძლებოდა!

— შეუძლებელია, ამხანაგო უფროსო. მანქანაშიც, ბიჭების ჩვენებით, არაფერი ჩანდა. გარდა მაგისა, თუ მართლაც მოშორება მოუწოდებდა, რატომ ბიჭებს ხმა არ გასცეს? ის ჩაყოც ხომ სახელურს

წაიტანა. განა ვერ დაინახავდა, მანქანაში რა იყო უფროსმა სურათები გადასწავა.

— მაინც კიკნაველიძის სტუმრები კარგად უნდა შეისწავლიათ. რა ჰქონდათ საერთო ამ კომენდანტთან?

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. უფროსმა ნახევარ წუთს უსმინა და უპირილი დადო.

— ერთ-ერთ ტაქსში ცხრა ცალი ასეთი საცხისი უპოვიათ. მე მგონი, სჭობია, თქვენ წახვიდეთ.

— შოფერი ხომ არ დაუთხოვთვე ჭერ, ამხანაგო უფროსო?

— არა. მანქანა ჭერ „ტექსინის“ წაიყვანეს. თქვენც ჭერ ნურაფერს აგრძნობინებთ. არ მიახვედროთ რომ სხვებისაგან გამოიყვანოთ.

### თავი მეროთხე

სულამდე ისეთ დროს შევიდა ატკ-ს დირექტორის კაბინეტში, როცა მისი უმცროსი კოლეგა შორიგი ტაქსისტის დაკითხვას ამთავრებდა. „არა, უფროსო, მე არაფერი არ მინახამ. ათიდან გარაუბნი შემოსვლამდე სულ გაღმა ვიყავი“, — ფიცულობდა შოფერი. დანარჩენი შოფერები — დაახლოებით ოცდაათი კაცი, გარეთ იდგნენ და, ეტყობა, არ იცოდნენ რა ხდებოდა.

სულამდე უძილო თვალები ხელით მოისრისა და კოლეგას ანიშნა, მისთვის საინტერესო ტაქსისტე შემოეყვანათ. კარებში ორმოცდაათი წლის მაღალი, უმაღლესო კაცი შემოვიდა, სამოედ დღის გაუპარსავი იყო. ძარღვიანი ჩანდა, მაგრამ გამბდარი და, ეტყობა, ცხოვრებისაგან დაღლილი.

სულამდე ფრთხილად შეხედა შოფერს ფეხსაცმელზე: მას უბრალო, სველი და ტალახიანი ტუფლები ეცვა.

— სად ცხოვრობ? — ჰკითხა დაღლილი ხმით.

— მესამე მასივთან, — უპასუხა შოფერმა.

— ახალ სახლში?

— არა, ძველში. სახინკლე იცი? იმის ცოტა უკან.

— თხილამურებზე სრიალი თუ იცი? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— რაზე სრიალი? — გაიმეორა ტაქსისტმა.

— თხილამურზე, რა აი, ჭონებით რომ დადიან.

შოფერს გაეღიმა:

— არა, უფროსო! ჭარბი გვექნა, მაგრამ მე სწავლამ არ მაშიწია. ისე, მინახამს, წყნეთში. და ფუნქიულორზე.

— რა ტალახიანი ხარ, ბიჭო? — სულამდე შოფერს ფეხებზე დახედა, — სხვა ფეხსაცმელი არა გაქვს?

— მაქვს შავი, ჩიხური. მაგრამ ტალახში ამას ვიცვამ, ატკამდე მიჭირს, თორე მეერ მანქანიდან აღარ გადმოვიდვარ.

შოფერი პირდაპირ, ნათელი და უეშმაკო მზერით უყურებდა გამომძიებელს და მის უსისტიმო, თვითნებურ კითხვებს უფიქრელად პასუხობდა. მაგრამ სულამდე ინსტინქტით ატყობდა, რომ ეს ისეთი ნებისყოფისა და შინაგანი წონასწორობის კაცია, რომ ამ სიღინჯის ყოველგვარ პირობებში შეინარჩუნებს. შოფერის თავდაპირველი იგი რაღაც საეჭვოს გრძნობდა.

— აბა, ჩამოთვალე სად იყავი გუშინ ცვლის დროს რომელი და რომელ უბანში!

— ჭერ რომ გამოვიდი, უფროსო, სიფთაზე ერთი კლიენტი შამხვდა. სადგურში ჩავიყვანე, — შოფერმა მალულად გადმოხედა გამომძიებელს და სულამდე შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ამოწმებს, სწორ კილოს მივაგენი თუ არაო, — იქიდან ოთხნი ჩამიჭადნენ, ორი ვერაზე გადმოვიდა, ორი მოედანზე...

სულამდე დაკვირვებით, თვალის მოუშორებლად ისმენდა შოფერის მონათხრობს და ცდილობდა, მისი ერთი ინტონაციაც არ გამოშპარვოდა. შოფერმა ეს შენიშნა, მაგრამ არ დაბნეულა.

— ზო, იქიდან, ერთი წყნეთის კლიენტი შამხვდა, ავიყვანე, დაუტყდად და ჩამოვიყვანე. გზაზე წიდა ეყარა...

ტაქსისტი წაშით დადუმდა, თითქოს უცდიდა,

როდის მოსწყინდება გამომძიებელს ეს ზედმეტი კითხვებიო. მერე ისევ განაგრძო:

— ფალიაშვილზე მივედი და იქ კიდეც სამნი ჩამისხდნენ. კინოსტუდიასთან მივიყვანე...

— კარგი, შორს არსად ყოფილხარ? — გააწყვეტინა ბოლოს სულამდე, — გლდანში? ლოტკინსკად, რაზე? ჩუღურეთში?

— გლდანში? არა! (შოფერი წაშით ჩაიჭრა.) ლოტკინის გორაზე ვიყავი. მხოლოდ აღარ მახსოვს, გუშინ იყო თუ გუშინწინ. ჩუღურეთში? ხო, როგორ არა! — შოფერის სახეზე უტყუარი სიხარული გამოისახა. — ბაჭრიდან კლიენტი ავიყვანე, ეს პრავეწია ეჭირა.

— პურმარილის, ქიეფის ხმა ხომ არსად გაგიგია?

— არა, უფროსო, დღე იყო.

სულამდე ხელში ჩაამოწმარა.

— ჩაჭვებს არ ხმარობ? საბურავები მოცვეთილი გაქვს. ისე ასვლა გაგიჭირდებოდა.

— მოცვეთილი რათა მაქვს? ძალიანაც კარგი მაქვს. მერე, დღე ხომ არ თოვდა, თოვა ექვსზე-შვიდზე დაიწყო.

სულამდე გადაწყვიტა, რომ მისი მუშაობის პირველი ეტაპი — კლიენტის პიროვნების მოსინჯვა — დამთავრებულია და მცირე პაუზა არჩია. შოფერი ადვილი „წამოსაკიდი“ არ ჩანს, მაგრამ რას მაღაფს და რატომ მაღაფს? ეგებ, ცხოვრებაში ნათრევს, საძიებო ორგანოების შიში იმთავითვე დაჰყვა და ეს უსაგნო მსახიობობა ინსტინქტად ჰქცევია. სულამდე ტაქსისტისათვის თვალის მოუშორებლად გააბოლა. და ნახევრამდე დასული სიგარეტი ვაგებულ საფერფრეზე დააქრო.

— თქვენს მანქანაში აღმოჩნდა ცხრა ცალი თხილამურის საცხისი, — თქვა სულამდე, — მეათე კოლოფი წუხელ ჩუღურეთის აღმართზე დაუფარდა მკვლელს, რომელმაც ბოროტმოქმედება ჩაიღინა თერთმეტ საათსა და ორმოცდათერთმეტ წუთზე. თითების ანაბეჭდი მანქანაში ნაპოვნ საცხისზე იგივეა, რაც ჩვენს მიერ ნაპოვნზე და ბოროტმოქმედის მიერ დაგდებულ დანაზე. რას იტყვით ამის თაობაზე. თქვენთვის ცნობილია ათივე საცხისის პატრონი?

— ანაბეჭდები? — შოფერს გაუპარსავი სახე მრუდელ მოეკცა და უცხად ჩაბოხებულ ხმაში ჭერ გაურკვეველი წინააღმდეგობის კილო ბუნებრივად გამოისხა. — რა ანაბეჭდები? საცხისზე და დანის ტარზე?

— დანის ტარზე კი არა, დანის პირზე, — სულამდე მაგიდაზე გადაიხარა და ტაქსისტს სამი თითი უჩვენა, — სამი ანაბეჭდი ემთხვევა: საცხისზე თქვენს მანქანაში, მკვლელის მიერ დაგდებულ საცხისზე და დანაზე.


— არ ვიცი, უფროსო! ჩემმა მზემ, არ ვიცი! (შოფერი გაოგნებული ჩანდა, ან მხოლოდ გაოგნებას თამაშობდა.) ჩემი თითები თუ გინდა, აი! ჩემი თავი შენი ფუჭქეში — მან სულამდე ხელები მიუშვირა, გაოგნება სწრაფად დასძლია. — მე ისეთი კაცი არა ვარ, უფროსო, ეგრეთ რამეში გავერიო. გინდა შეამოწმე, ათ საათზე მანქანა გარაუბნი შეყენა!

— აი, ნახე როგორი საცხისია! — სულამდე ერთი მანქანაში აღმოჩენილი საცხისი შოფერს გაუწოდა, — ჩვენ შენზე ეჭვი არა გვაქვს ვეძებთ იმას, ვინც ეს საცხისი დატოვა. (შოფერმა თავი დაუქნია, იმის ნიშნად, რომ სჭერა.) — შეუძლებელია შენ არ გახსოვდეს, ვინ გეჭდა მანქანაში ისეთი, რომ ეს საცხისები დასჭირებოდა. ზა, გიცდი ახლა ვინ იყო, სად ჩაქდა, სად გადმოვიდა?

შოფერმა უხერხულად გაიღიმა და სახეზე გულწრფელი წუხილი გამოეხატა, რომ გამომძიებელს სურვილს ვერ უსრულებს. მან გულზე ხელი დაიდო.

— არ ვიცი, უფროსო, ჩემმა მზემ, არ ვიცი. კლიენტი უკან ჩაღებდა. რა შემოაქვს, რა გააქვს მე ხომ არ ვუყურებ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





## ყანამდებობა

ინგლისის ერთ-ერთი დებარტამენტის დირექტორის სიკვდილას შემდეგ, დიდი ბრიტანეთის მაშინდელ პრემიერს უინსტონ ჩერჩილს შეკითხვით მიმართა ჩინოვნიკმა, რომელიც იოლ კარიერაზე ოცნებობდა.

— შემძლია თუ არა, იმედი ვიქონიო, რომ მიცვალებულის ადგილს დავკავებ?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — მიუგო ჩერჩილმა, — მაგრამ ამ საკითხზე ჩემთვის კი არა, სასაფლაოს დირექტორისათვის უნდა მიგემართათ.

## სამაგიერო

ცნობილი ინგლისელი ქირურგი ლაისტერი შუალამისას გამოიძახეს ერთ მდიდარ პაციენტთან. გასინჯვის შემდეგ ლაისტერმა შეშფოთებით ბკითხა ავადმყოფს:

— ანდერძი დაწერილი გაქვთ? არა! მაშინ საჭირო იქნება, დაუყოვნებლივ გამოუძახოთ თქვენს ნოტარიუსს და თქვენს მემკვიდრეებს.

— ექიმო, ნუთუ ასეთ სახიფათო მდგომარეობაშია ჩემი ჯანმრთელობა? — იკითხა თავზარდაცემულმა ავადმყოფმა.

— საშიში არაფერია, — მიუგო ქირურგმა, — მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრა, მე სრულდებითაც არ მინდა ვიყო ერთადერთი იდიოტი, რომელიც თქვენ შუალამისას სრულიად უმიზეზოდ წამოაგდეთ საწოლიდან.

## ფვიულეზაზე

— მითხარი, ჩარლზ, ნუთუ მართალია, რომ გუშინ, წვეულეზაზე ბრაიენი უკანასკნელი მაწანწალასავით გაიღეშა და ათასგვარი სისულელეები ჩაიდინა!

— სამწუხაროდ, სრული სიმართლე... ბრაიენი გუშინ უგონოდ დათვრა და იპაურობა აიკლო.

— პატრიკი? ამბობენ, იმდენი დალია, რომ თავი ვეღარ შეიკავა და ტლაპოში ცხვირით წაემხო.

— ესეც მართალია, გუშინდელ წვი-

ულეზაზე პატრიკი ბრაიენზე უფრო უმსგავსოდ იქცოდა.

— ბიურკე? არ შემოძლია დავიჭერო, რომ წუხელ ბიურკემაც შეირცხვინა თავი.

— მან ჯერ კიდევ შუა ქვიფში დაკარგა ადამიანის სახე... მას დიდხანს მოუხდება ცდა, რომ ახლობლებმა აპატიონ ყოველივე ის უმსგავსებობა, რაც მან ჩაიდინა.

— ღმერთო ჩემო! სირცხვილით ვწითლდები, რომ ასეთი მეგობრები მყავს!.. მაგრამ მითხარი, ისე ჩვენ შორის რომ დარჩეს, მეც ვიყავი თუ არა გუშინდელ წვეულეზაზე?

## მატარებლის ბილეთი

მარკ ტვენი ცნობილი იყო თავისი დახვეწილობით. ერთხელ, როცა იგი მატარებლით მიემგზავრებოდა, ვაგონში კონტროლიორი შემოვიდა. მარკ ტვენმა რამდენჯერმე მოიხიჩკია ჭიბები, მაგრამ ბილეთი მაინც ვერხად იპოვა. ბოლოს, კონტროლიორმა, რომელიც სახით იცნობდა მწერალს, ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ნულარ შეწუხდებით, გეთაყვა. თქვენი ბილეთი, როცა აქეთ გამოვივლი, მაშინ წარმომიდგინეთ... თუ ვერ იპოვით, არც ეს იქნება დიდი უბედურება... ეს ხომ წვრილმანი საქმეა!..

— როგორ თუ წვრილმანი? — აღშფოთდა მწერალი, — მე აუცილებლად უნდა ვიპოვო ჩემი ბილეთი... წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ გავიგო, თუ საით მიემგზავრები!..

## ვინ გაძურღს?

ორი ავსტრიელი კომპოზიტორი ჩხუბობდა — არა უნ მომპარე მელოდია და არა შენაო. დავის გადასაჭრელად მათ ლეგარი მოიწვიეს. მან უურადღებით მოისმინა საჩივარი, მერე კომპოზიტორებს მიუბრუნდა და სთხოვა, ორთავემ ცალ-ცალკე დაუკარით თქვენი მელოდიებიო. თხოვნა მაშინვე შეასრულეს.

— ვინ არის გაძურღული? — ჰკითხეს კომპოზიტორებმა ლეგარს.

ის არც დაუქრებულა, ისე წარმოთქვა:

— ოფენბახი!

## ნაცნობი სახე

ერთხელ, მანქანის საკეტთან მჯდომმა ჩარლი ჩაპლინმა ქუჩაში მოძრაობის წესები დაარღვია. დიდი მსახიობი დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

პოლიციის კომისარმა ყურადღებით აათვალიერა-ჩათვალიერა ჩაპლინი.

— ნაცნობი სახე... თუ არ ვცდები, მე თქვენ სადღაც მინახიხართ.

— შესაძლებელია! — ჩაილაპარაკა მსახიობმა.

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ თვითონ აღიარებთ... ჯანა არა, მაშინვე მივხვდი, რომ თქვენ გამოუსწორებელი ავტობუსიდან ხართ!

## მურიისძიება

ერთხელ, ცნობილი ღირსუორის კონცერტის დროს, ბერნარდ შოუ თავის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს წამდაუწუმ რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში და თან ჩუმად იციწიწოდა.

ღირსუორი მოთმინებიდან გამოვიდა, კონცერტი შეაჩერა და ცნობილ ღრამატურსგს მიმართა:

— თქვენ ცუდად ხართ აღზრდილი! თქვენს კომედიებზე მე არასოდეს არ ვიცინი!..

## მეფემ ფაიტრაბას

მხატვარი უაისტლირი არ იყო თავმდაბალი და მორიდებული კაცი. ერთხელ, წვეულეზაში, იგი ხანში შესული ქალის გვერდით აღმოჩნდა. თანამეინახე მანდილოსანი მხატვარს დაბეჭითებით არწმუნებდა, რომ მეფე

ედუარდი ძალიან ამახებდა უაისტლირთან მეგობრობას.  
— მე არ ვიცნობ შეფს! — სკვახედ მოუჭრა მხატვარმა მანდილოსანს.

— როგორ თუ არ იცნობთ? მეფემ პირადად მითხრა, რომ იგი კარგად ვიცნობთ თქვენ...  
— დაუტრაბახია! — ისევ მოუჭრა სიტყვა მხატვარმა გაოცებულ მანდილოსანს.

## ვოლტერის რეცენზია

ერთმა ახალგაზრდა ღრამატურსგმა ვოლტერს თავისი ახალი პიესა წაუკითხა და ნაწარმოების შეფასების მოლოდინში გაირინდა.

— აი რა შემძლია ვითხრა, ახალგაზრდავ, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა ვოლტერმა, — ასეთი ხასიათის ნაწარმოებები თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ მხოლოდ მაშინ, როცა უკვე მოხუცებული და სახელმოსხვეპილი ადამიანი იქნებით. მანამდე კი, ჩემო კეთილო, თქვენთვის აუცილებელია, რომ უფრო უკეთესად წეროთ.

## დაზღვევა არ არის საჭირო

ერთხელ ბერნარდ შოუსთან შინ დაზღვევის აგენტი მივიდა.

— მე მინდა თქვენი სიცოცხლე დავაზღვიო, — უთხრა აგენტმა დიდ მწერალს.

— ჩემი სიცოცხლე? ეს ხომ შეუძლებელია, — მხრები აიჩჩია შოუმ, — ნუთუ თქვენ არ იცით, რომ მე უკვდავი ვარ?!

გარეკანის პირველ გვერდზე: სევასტოპოლის მისადგომებთან. ობლისკი სევასტოპოლის გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ფოტო ნ. ანთიძისა. მეორე გვერდზე: გამარჯვების დღესასწაულა. პლაკატი თ. სამსონაძისა, მეოთხე გვერდზე: გაზაფხული. ფოტო ი. დავითაშვილისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, უ. ჯაფარიძე.

ტერედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივანის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ფასი 30 კაპ.**

გადაცვა ახაწყობად 13/IV-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV-70 წ. ქად. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 48.200. შეკვ. № 1187. უფ. 02058.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული  
ბიოლოგიკა



მთავარი ექიმი ვახტანგ დიასამიძე და ექთანი ქეთევან ლომაძე  
(აჭარის ბავშვთა რესპ. საავადმყოფო).

ფოტო თ. არჩვაძისა

ИНДЕКС 76056

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

